რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 25 მაისი 1918

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ჩვენს მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე, რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 105 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 105

ძმები ტარასი და ფილიმონ, რძალი სოფიო, დები: ებე, მარო, აგრაფინა და ლუბა, სიძე ილია სპირიდონის ძე გუგუშვილი ღრმად დამწუხრებული აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ უდროვოთ დაკარგულ საყვარელ ძმის

**ხუტუ (გრიგორი) სოლომონის ძე სპრინპველის**

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილ იქნება პანაშვიდი სოფელ ონტოფოს თავარანგელოზის ეკლესიაში კვირას, 26 მაისს.

ღრმად დამწუხრებული ცოლი მარიამ, დედა ეფროსინე და ძმები: სამსონი, ნოე, პროკოფი, სევერიანი და აკაკი მამალაძენი, რძალი მაშიკო შვილებითურთ, სიდედრი ელისაბედი, ცოლის ძმა ლავრენტი, დები: მაკრინე და კატო, სიძეები: ლუკა და ლადიკო, დისწულები: ლავრენტი, და კოკიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ შაბათს 25 მაისს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი წმიდა ნინოს ეკლესიაში ცხინვალში მტრებთან ბრძოლის დროს ტრაგიკულად დაღუპულ

**ბარნაბ ალექსანდრეს ძე მამალაძის**

სულის მოსახსენებლად. (1—1)

## იმპერიალისტები დღესასწაულობენ

ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები თითქმის ოთხი წელიწადია მსოფლიო ომს აწარმოებენ და ამ ხნის განმავლობაში კაცობრიობის მიერ შექმნილ ნივთიერ და კულტურულ სიმდიდრეს ცეცხლსა და წყალს აძლევენ. ამ საშინელი ქარტეხილის გრიგალში გაისრისა და დამოუკიდებელი არსებობა დაჰკარგეს მრავალმა ერებმა. სერბია, ბელგია, ჩერნოგორია, როგორც თავისუფალი პოლიტიკური ერთეულები აღარ არსებობენ და ისინი ჯერჯერობით გამარჯვებულ სახელმწიფოების ქვეყნის ქვეშ იმყოფებიან.

რაც შეეხება დანარჩენ წვრილ და განუვითარებელ ერებს, რომლებიც კი თანამედროვე მსოფლიო ომის ფერხულში არიან ჩათრეულები, ან სერბია-ჩერნოგორიასა და ბელგიის ტაფაში იხრაკებიან, ან-და ისე სწყვეტენ მათ ბედს, როგორც ეს გამარჯვებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ეპრიანებათ.

ომი ძალმომრეობაა და ამ დროს ის გამოდის გამარჯვებული, რომელიც მეტი უნარით და სიმძაფრით უპირატესობით არის აღჭურვილი. თითო-ოროლა პირის პოლიტიკა ან-და ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობა ისე ძლევა-მოსილი არ არის, რომ მათ შესძლონ კაპიტალისტური სახელმწიფოების დაპყრობითი პოლიტიკის შეჩერება.

მით უმეტეს, თუ ასეთ პოლიტიკას პატარა ერის დემოკრატია აწარმოებს და მის წინააღმდეგ აღჭურვილია უძლიერესი მტერი. რეალური ძალთა განწყობილება ძლევა-მოსილი მტრის წინაშე წამოგაჩოქებს და აქ დემოკრატიის სამართლიანი და სწორი პოლიტიკა გამარჯვებას ვერ მოგანიჭებს.

ამიერ-კავკასიის დემოკრატია ამ ჟამათ სწორედ ასეთ ძლიერი მტრის წინაშე სდგას და იგი იძულებითი ნაბიჯებს აკეთებს. აქ კი გამოდიან ჩვენი დაუძინებელი მტრები, ცრუ სოციალისტები და ბურჟუაზიის იდეოლოგები და გერმანია-ოსმალეთის გამარჯვებას ჩვენი უტაქტობით ხსნიან.

გაიხსენეთ „სოციალისტების" განგაში, რომლებიც ასე მუხანათურად მოქმედებენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ იძულებულნი გავხდით ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა. თუმცა ჩვენ აქ არავითარი დანაშაულობა არ ჩაგვიდენია, მაგრამ ეს მაინც მოწინააღმდეგეებს საშუალებას აძლევს ცენტრალურ-სახელმწიფოების ამიერ-კავკასიის ასპარეზზე გამარჯვება ჩვენს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დააბრალონ.

ასეთია მათი პოლიტიკური აზროვნების ნაყოფი, მათი ცრუ სოციალისტური მისწრაფება.

გერმანია-ოსმალეთი ამიერ-კავკასიაზე განსაზღვრულ პოლიტიკას აწარმოებენ. მათ ასეთ ვერაგულ საქმიანობას შევაჩერებდით მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ შესაფერი რეალური ძალა გვეყოლება. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ საკმაო ძალა არ მოგვეპოვება და მაშასადამე მათ გეგმას ჩვენ შეუცვლელით დიპლომატია და პოლიტიკა მხოლოდ მაშინ იმარჯვებს, როცა ეს რეალურ ძალაზეა დაყრდნობილი და როცა ცრუპენტელა სოციალისტები და იმპერიალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი არა მკითხე ხალხის მოსარჩლეები ამიერ-კავკასიაში ოსმალეთ-გერმანიის გამარჯვებას ჩვენი უტაქტობით ხსნიან, ისინი ჩვენი ხალხისა და ისტორიის წინაშე დიდ დანაშაულობას იდებენ. იმის მაგიერ, რომ „გასოციალისტებულმა" ძველი ტიპის მოხელეებმა რეალურ ძალის შექმნაში რაიმე დახმარება აღმოგვიჩინონ, ჩვენთან ერთად მილიტარისტული ძალა შეექმნათ—ისინი ზურგს უკან ჩვენ საწინააღმდეგო შეთქმულებას აწყობენ, დაბალ მატერიალურ ინტერესების გამო ირაზმებიან და ამ გზით ისედაც დასუსტებულ ჩვენს ძალას უფრო მეტად ასუსტებენ. ამის მერე განა აქვთ მათ რაიმე მოქალაქობრივი უფლება ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ გამოილაშქრონ და თავიანთ მუხანათური მოქმედება ჩვენს დავთარში ჩასწერონ.

ამიერ კავკასიის დემოკრატია, და მისი ერთგული მოსარჩლე სოციალდემოკრატიული პარტია სწორ პოლიტიკას აწარმოებს და თუ ეს პოლიტიკა ძლიერი მოწინააღმდეგე იმპერიალისტურ სახელმწიფოების წინაშე მარცხდება—ეს საერთო ძალთა განწყობილების შედეგია და არა ჩვენი შემცდარი ტაქტიკის. სოციალდემოკრატიული პარტიის ტაქტიკა კვლავ ჩვეულებრივი გზით წარმოებს და თუ აქ გამარჯვებული იმპერიალისტები გამოვლენ, ამაში დამნაშავე თვით კაპიტალისტური სახელმწიფოების ექსპროპრიატორებია.

მაგრამ ეს ჩვენ გულს ვერ გაგვიტეხს და ჩვენ დროსა და გარემოების მიხედვით მათ შესაფერ წინააღმდეგობას გავუწევთ.

## იძულებითი ნაბიჯი

ქართველი ერის დიდი უმრავლესობა, თითქმის მთელი დემოკრატია, სოციალ-დემოკრატიის დროშას მიჰყვება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ გამოუცხადებია დამოუკიდებლობა. სოციალ-დემოკრატია ყველგან ერიდება ძალთა დაქსაქსვას. სანამ რუსეთის რევოლიუცია ცოცხლობდა, ჩვენ მთელი რუსეთის საზომით ვეწეოდით მუშაობას, ხოლო როცა რუსეთი დაიშალა და დემოკრატიულ მუშაობის გაერთიანება შეუძლებელი გახდა—ჩვენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას დავუჭირეთ მხარი და რუსეთს იურიდიულად ჩამოვშორდით.

ჩვენი სურვილი იყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ჩარჩოებში მაინც შეგვენარჩუნებინა ერთიანობა, ერთი მთლიანი დემოკრატიული ფრონტი არ დაგვერღვია. მთელი ჩვენი გულისყური აქეთკენ იყო მიმართული.

აქ ჩვენ ბევრი დაბრკოლება გადაგველობა წინ. არც სხვა ერების ნაციონალისტებს და არც ჩვენებურ მამულიშვილებს არავითარი სურვილი არ ქონდათ ერთად მუშაობის, დემოკრატიული ფრონტის ერთობა მათ არ აინტერესებდათ. პირიქით, ყველანი წინააღმდეგი იყვნენ ამ ერთობის, რადგან ნაციონალიზმი და დემოკრატიზმი ერთად ვერ თავსდება, ეს ორი ცნება ერთი მეორის მოწინააღმდეგე და ურისმყოფელია. ამიტომ არც სომხეთის და არც ადერბეიჯანის პროვინციებში მთავრობის საერთო დადგენილება არ სრულდებოდა, ხშირი იყო შემთხვევები, როცა ასეთს დადგენილებებს პირდაპირ ებრძოდნენ—ებრძოდნენ დაშნაკელები და მუსავატელები და არა ხალხი, რომელმაც საუბედუროთ ვერ შეიგნო მთლიანობის საჭიროება. მხოლოდ საქართველო ასრულებდა საერთო დემოკრატიულ მთავრობის დადგენილებებს. ამ გარემოებამ საგრძნობლათ შეუწყო ხელი ანარქიის შესუსტებას და გარეშე ფრონტის გაძლიერებას, მაგრამ მდგომარეობის არსებითად შეცვლა მან ვერ შესძლო.

ქართველი ნაციონალისტები ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახიან—ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველო დაღუპეს, ამათ რომ დროზე საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოეცხადებიათ, დღეს ჩვენი ცხოვრება მოწყობილი იქნებოდაო.

რუსეთის რევოლიუციის ერთის წლის ისტორია სულ სხვას გვეუბნება. უკრაინისა და ფინლიანდიის ამბავი ყველას ნათლად უნდა ედგეს თვალწინ. სწორედ უკრაინამ და ფინლიანდიამ ჩასცეს ლახვარი რუსეთის მთლიან დემოკრატიულ ფრონტს, მაგრამ დღეს ირკვევა, რომ მათ დამოუკიდებლობამ ვერ განახორციელა ყველა ოცნებები.

მაშასადამე, არსებითად ჩვენ მართალი ვიყავით, როცა ამიერ-კავკასიის დემოკრატიის საერთო ფერხულში დავრჩით და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება უარვყავით. ფორმალურადაც სიმართლე ჩვენსკენ იყო, რადგან ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა დემოკრატიული ფრონტის ერთობას და მთლიანობას უჭერდა მხარს.

მაგრამ დღეს, როგორც ეტყობა, პირობები იცვლება და ჩვენც გარემოების მიხედვით უნდა შევცვალოთ ჩვენი მოქმედება. თუ ჩვენ დღემდის თავგამოდებით ვიცავდით ამიერ-კავკასიის მთლიანობას, დღეს შეიძლება გარემოებამ გვაიძულოს ცალკე მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რადგან ამიერ-კავკასიის მთლიანობა უკვე დარღვეულია.

მთლიანობა არ იყო ჩვენი ჟინიანობის შედეგი, ის გამომდინარეობდა ჩვენი დემოკრატიული პრინციპებიდან და ჩვენ ჩვენის ნებით არასოდეს ხელს არ ავიღებდით ამ მთლიანობაზე. მაგრამ ვიმეორებთ, დღეს გარემოება შეიცვალა, ჩვენი მეზობლების გაბატონებულმა კლასებმა არ მოისურვეს ერთად ყოფნა და ჩვენც საკუთარ თავზე გვიხდება ზრუნვა, საქართველოს რესპუბლიკის მოწყობა დღიურ საკითხად დგება.

ქართველი დემოკრატიის ვალია მომზადებული შეხვდეს ამ მოვლენას, მისი ვალია უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბოს და გადაარჩინოს დაღუპვას ის, რისი გადარჩენაც კი შეიძლება.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება გვიხსნის ყოველგვარ უბედურებისაგან, მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენ ეს ერთად ერთ ზომად მიგვაჩნია. ამიერ-კავკასია, როგორც მთელი დაიშალა.

საჭიროა შესაფერისი დასკვნის გამოყვანა.

## სოციალ-დემოკრატები ადმინისტრაციულ სარბიელზე

უტყუარი ფაქტია: საქართველოს დაბა-ქალაქებში და სოფლებში თითქმის ყველა ადმინისტრატიული პოსტები სოციალდემოკრატებს ან მათს თანამგრძნობთ ეჭირათ დღემდის და ასეთი მდგომარეობა დღესაც გრძელდება,

სახელმწიფოებრივ წყობილების არც ერთ დარგს არ ვებრძოდით თვითმპყრობელობის დროს ისე მკაცრათ, როგორც პოლიციას, არც ერთი დარგი მართველობისა ისე არ გვეზიზღებოდა, როგორც ადმინისტრაცია. და რევოლიუციის დროს არც ერთს დარგს მართველობისას ისე არ ვეტანებოდით, როგორც ადმინისტრაციას, შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ საქმეს მოანდომა ჩვენმა პარტიამ თავისი საუკეთესო ძალები, მართველობის საქმეს შეეწირა თითქმის მთელი ჩვენი ენერგია და წმინდა პარტიულ მუშაობაზე ხელი აგვაღებინა. ეს გარემოება დიდ გაუგებრობას იწვევდა ზოგიერთს ჩვენს ამხანაგებში, მაგრამ ჩვენმა მტრებმა პირდაპირ სიდემაგოგიით გაიხადეს ჩვენი მოღვაწეობა და რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ყოველგვარი არა საკადრის საშუალებით გვებრძვიან. ამ მხრით არც ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები ჩამორჩებიან, მაგრამ განსაკუთრებული იერიშით მოდიოდნენ ნაციონალ-დემოკრატები, რომელნიც გაზეთ „საქართველო"-ში არიან მოკალათებულნი, ამ ჯენტლმენებმა ყურები გამოუჭედეს ყველას სოციალ-დემოკრატ ადმინისტრატორების უნიჭობისა და უმოქმედობის შესახებ და, ხაზგასმით უთითებენ მკითხველებს—სოციალ დემოკრატებმა თფილი ადგილები აირჩიეს და იქ მიიკალათესო.

ჩვენ, რასაკვირველია, დიდ ყურადღებას არ მივაქცევდით ნაციონალდემოკრატების ძაგებას, რადგან კარგათ გვესმის, თუ ვის ქებას რა მნიშვნელობა აქვს; ზიზღით შეგვეძლია აღვნიშნოთ ჩვენი მტრების მიერ წამოყენებული ბრალდება, ვითომ ჩვენი ამხანაგები თფილ ადგილებით იყვნენ დაინტერესებული. სხვას რომ თავი დავანებოთ, ვინ არ იცის, რომ თითო ოროლას გარდა ჩვენი ადმინისტრატორები სულ მცირე ჯამაგირებს იღებენ და ზოგიერთებს—სოფლის კომისრებს და მილიციონერებს თითქმის არც კი მიუღიათ რაიმე სასყიდელი.

სერიოზულად მიგვაჩნია მეორე ბრალდება, რომელიც აღნიშნავს ჩვენი ამხანაგების უმოქმედობას და გამოუცდელობას. ჩვენ არ ვმალავთ, რომ ჩვენს ამხანაგებს ბევრი შეცდომები მოსვლიათ და დღესაც მოსდით, მაგრამ ნუ თუ ვისმეს გონია, რომ ეს შეცდომები გამოწვეული იყო სოციალდემოკრატობით და არა გარეშე მიზეზით? პირიქით, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ახალმა ადმინისტრატორებმა დიდი ნიჭი და საქმის ცოდნა გამოიჩინეს თუ მხედველობაში მივიღებთ საქმის სრულს სიახლეს და მათს გამოუცდელობას. მაინც სხვა რა გზა გვქონდა, რომ ადმინისტრაციის მოწყობა ჩვენს თავზე არ მიგვეღო: ძველს „გოროდოვებს" და „პრისტავ" „ოკოლოდოჩნიკებს" ხომ ვერ ჩავაბარებდით განახლებულ წყობილების მოვლას და ცხოვრებაში გატარებას? ჩვენი მდგომარეობა მძიმე აუცილებლობის მიერ იყო ნაკარნახევი, ჩვენი ტრაგიზმიც იმაშია, რომ ბურჟუაზიული წყობილების დამყარება ჩვენ სოციალისტებს გვიხდება საკუთარი ხელით, რადგან ჩვენში რევოლიუციის მომხრე არავინ აღმოჩნდა სოციალისტების გარდა. ბ. ნაციონალდემოკრატები მადლობის ნაცვლად კიდევ უმადურად გვლანძღავენ და ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ ჩვენი ამხანაგების წინააღმდეგ. არც გასაკვირია: იმათი იდეალია იყოლიონ ისეთი ადმინისტრატორები, როგორც აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში, მუსულმანთა პროვინციებშია, სადაც სახელმწიფო ხაზინიდან ჯამაგირებს იღებენ და უცხო სახელმწიფოს, გარეშე მტრის საქმეს კი აკეთებენ ან სწორედ ისე და კიდევ უარესათ სძარცვავენ მცხოვრებთ, როგორც თვითმპყრობელობის დროს. საკვირველია, რომ ნაციონალ-დემოკრატებთან ერთად საერთო ფერხულში ჩაბმულან ჩვენს წინააღმდეგ სოციალისტ-რევოლიუციონერებიც და მათი ორგანო „ღელო ნაროდა". ამ გაზეთში ვინმე ი. ლ. ეხება ქუთაისის ცხოვრებას, აღნიშნავს გლეხების ერთი ნაწილის ჩვენს წინააღმდეგ დარაზმვას და ამის ერთ მთავარ მიზეზათ მენშევიკების ადმინისტრატიულ პოლიტიკას ასახელებს. ის, სხვათა შორის, სწერს: მენშევიკები თავის პარტიის ხალხს გარდა არავის ნიშნავენ ადმინისტრატიულ პოსტზე და ეს ხალხს აბრაზებს და აბოროტებს მათ წინააღმდეგო.

უნდა მოვახსენოთ ბ. ი. ლ., რომ ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია, რომ მთელი ხალხი მიგვემხრო, რაც შეეხება უმრავლესობას, ის ჩვენსკენაა. არ არის აგრეთვე მართალი, ვითომ ჩვენ უნდობლობით ვეპყრობოდეთ სხვა პარტიებს, რამდენადაც ისინი საერთო რევოლიუციონურ ფრონტს არ ღალატობენ. ხომ არ გვირჩევს ბ. ი. ლ. მაგალითად გაცხარებულ მობილიზაციის დროს კომისრათ დავნიშნოთ ბოლშევიკი ან რომელიმე ქუთაისური ესერი, რომელიც მობილიზაციის წინააღმდეგია, ან მიწის კანონის ცხოვრებაში გატარება მივანდოთ ნაციონალ-დემოკრატს, რომელიც აღშფოთებულია მიწის ახალი კანონით, მიწების ჩამორთმევას ყაჩაღობით თვლის და საჭიროთ აღიარებს, ისევ მემამულეებს დაუბრუნდეს მამულები?

გვირჩევს ბ. ი. ლ.: რომელი სახე კანონის აღსამზადი მინდობს საქმის გაკეთებას ისეთს პირს, რომელიც ამ საქმის წინააღმდეგია, გვეთხრა ბ. ი. ლ. რომელის იყო, რომ სხვა პარტიის მიმდევარს საქმე არ მივეცით, თუ კი ის ახალ წყობილების გულწრფელი დამცველი იყო.

## პრესა

„სახალხო საქმე" ცდილობს გამოიცნოს ამიერ-კავკასიის ბედი. ის სწერს:

„ამიერ-კავკასიის ბედი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის არა ჩვენთვის,—ვინაიდან ჩვენ აღარავინ აღარაფერსა გვეკითხავს,—არამედ იმ დიდ სახელმწიფოებისთვის, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ამიერ-კავკასიით. ჩვენი ქვეყანა აუცილებლად დაინტერესებულ სახელმწიფოთა ქიშპობას ობიექტად გადაიქცევა. ვერც რუსეთი, ვერც ოსმალეთი, ვერც ინგლისი და გერმანია ასე ადვილად ერთმანეთს ვერ დაუთმობენ ამიერ-კავკასიას და იქნება სწორედ ამიტომაც უნდა აიხსნას ერთის მხრით დიპლომატიური სიჩქარე გერმანიის და მეორეს მხრით ნერვიული სამხედრო მოქმედება ოსმალეთისა, რომელსაც ამიერ-კავკასია თავისთვის უფრო უპრიანად მიაჩნია".

ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, თუ რამდენათ სწორია საერთოდ „სახალხო საქმის" ასეთი შეხედულობა, მაგრამ ერთი რამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ აღარავინ ბევრს არაფერსა გვკითხავს. სწორედ ამაშია ჩვენი ტრაგედიება და ამიტომ იყო, რომ ჩვენ საქართველოს ცალკე მოწყობას, რუსეთის ჩამოშორებას გაურბოდით. იმ დროს ჩვენ არა ერთი და ორი შენიშვნა ვიგემეთ სხვათა შორის „სახალხო საქმის" ხელმძღვანელებისაგან. დღეს სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც ჩვენ ვამჩნევთ, „სახალხო საქმე" თანდათან სტოვებს რომანტიკოსობას და „ცენტრალიზმის" ხელაღებით დაგმობას.

მიუხედავათ იმ მძიმე და აუტანელ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, „სახალხო საქმე" მაინც გულს არ იტეხს და სამართლიანად მოუწოდებს ქართველ ხალხს იარაღისკენ. ის სწერს:

„თუმცა დროებითი ზავია და საბოლოო ზავისთვის მოლაპარაკებაა გამართული, მაგრამ ოსმალეთმა ურცხვად დაარღვია პირობა, განაახლა შემოტევა და მოისწრაფვის ჩვენი დედაქალაქისაკენ, რომ პირდაპირ გულში ჩაგვასოს მახვილი და ერთიან მოგვისპოს საშუალება მოქმედებისა, თავის ყურმოჭრილ მონათ გაგვხადოს, ჩვენი სამშობლო, რომლის თავისუფლებას ესოდენი გმირი შეეწირა, თავის საფაშოდ, თავის პროვინციად გადააქციოს.

აი ასეთი ჯილდო ხვდა ჩვენს დათმობას, მშვიდობიანობის წყურვილს!

ეხლა რაღა ვქნათ? უნდა მივმართოთ სხვა სახსარს, ხელში ავიღოთ იარაღი და ვიბრძოლოთ თავგანწირულად, სანამ სული შეგვწევს, სანამ გული ფეთქავს ჩვენს სხეულში. არა ერთხელ გამოუჩენიათ ჩვენს წინაპრებს გმირობა და არა ჩვეულებრივი სიმხნევე ამნაირ განსაცდელის ჟამს, გამოვიჩინოთ მცირედიდენი ჩვენც—ერის ღირსეულმა შვილებმა და გაკაჟებულის მკერდით შევხვდეთ მტრის ძალმომრეობას".

დახასრულ გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენი თავგანწირულობა უნაყოფოდ არ ჩაივლის.

ჩვენც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თავგანწირულობა უნაყოფოდ არ ჩაივლის, მაგრამ ჩვენ პატარა ერი ვართ და რომელიმე ძლიერ ერს უნდა შევაფაროთ თავი, რომ [illegible] მალეთის მადას თავი დავაღწიოთ.

* * *

მკითხველს ალბათ კარგათ ახსოვს, თუ რა აურ-ზაური ატეხეს, როცა ამიერ კავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დღეს, როცა დაინახეს, რომ ოსმალეთი ვერაგულათ მოიწევს ჩვენი ქვეყნისაკენ, ისინი სიხარულით [illegible] დღეწეს და არ იციან, როგორი [illegible] რონ. ბევრი იმუქრება კიდეც: [illegible] და დაგიჯითო. ასე გვიქცევიან [illegible] რეები.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ [illegible] სოციალისტები და ცრუ დემოკრატები, [illegible] დგილ დემოკრატებს კი კარგათ ესმით ჩვენი მდგომარეობა და მათი თანაგრძნობაც ჩვენს[illegible] კენ არის. სოციალისტ-რევოლიუციონერების [illegible] მოლაწოვა გაზეთ „ღელო ნაროდა"-ში [illegible] ნავს მათთვის მოლაპარაკების [illegible] ეხება ოსმალეთის [illegible] ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის [illegible] სწერს:

„ჩვენ ვიცით, რომ [illegible] ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს გამარჯვებ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მართალს ვამბობდით, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება ოსმალეთის ხელში ჩააგდებს ამიერ-კავკასიას.

ჩვენ არ ვეკამათებით ამ გამარჯვებულებს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ისინი, ვინც ამ გარემოებით გახარებულია არა მარტო დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი, არამედ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მტრები და წმინდა წყლის კონტრ-რევოლიუციონერები არიან".

* * *

„კავკაზსკოე სლოვო"-ში იუ. სემიონოვი ეხება რუსების რაზმის გმირულ მოქმედებას ალექსანდროპოლთან პოლ. ეფრემოვის ხელმძღვანელობით. რაზმში 700 კაცი ყოფილა, უმთავრესათ ოფიცრები ყოფილ კავკასიის არმიისა, რომელმაც თავის დროზე ფრონტი მიატოვა. ავტორი აგვიწერს ოფიციალურ ცნობების მიხედვით, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა ამ რაზმს ბრძოლა სხვათა შორის 9 და 10 აპრილს და დასძენს.

„მეორე დღეს რაზმმა გაიგო, რომ ამიერ-კავკასიას დამოუკიდებლობა გამოუცხადებია.

რუსეთისა და ამიერ-კავკასიის ერთობის მომხრე ოფიცრები და სალდათები ისევ რუსეთის რესპუბლიკას მოქალაქეებათ თვლიდენ თავს, მაგრამ მაინც არ შედრკენ და იმავ თავდავიწყებით და ხალისით განაგრძობდენ ძნელსა და უმადურს სამსახურს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის დასაცავათ".

შემდეგ სემიონოვს მოყავს გენ. ნაზარბეკოვის დეპეშა 15 მაისიდან:

„რაზმმა, რომელსაც მოულოდნელათ დაესხენ თავს, დიდი ზარალი ნახა მოკლულებით და დაჭრილებით. დარჩენილი ნაწილები იკრიბებიან კარაკლისთან. ჯერ-ჯერობით ასზე ნაკლები შეიკრიბა. რაზმი საუცხოვოთ იბრძოდა".

და დასძენს:

„რაზმი გაქრა. სახელოვან სიკვდილით დაღუპულებზე დღეს პანაშვიდს იხდიან. ამ ადამიანებმა გმირული ღვაწლით გამოისყიდეს სამშობლოს წინაშე დანაშაული იმ ჯარისა, რომელმაც თავის წასვლით ამიერ-კავკასია დაღუპა".

დიდება და საუკუნო ხსენება სახელოვან გმირებს, რომლებმაც უკუაგდეს სემიონოვის პარტიის იმპერიალისტური სულისკვეთება და სწორი ალღო აუღეს დემოკრატიის მდგომარეობას, ამიერ-კავკასიის დემოკრატია არ დაივიწყებს მათს სახელს.

## უკრაინა

გუშინ, 24 მაისს, მივიღეთ კავკავის 22 მაისის გაზეთები, სადაც კიევის გაზ. „კიევსკაია მისლი"-დან ცნობებია გადმობეჭდილი იმის შესახებ, თუ რა პირობებში მომხდარა უკრაინაში გენერალ-ლეიტენანტის პ. პ. სკოროპადსკის გეტმანათ გამოცხადება.

23 აპრილს ახალის სტილით კიევში გახსნილა ეგრეთ წოდებულ „ხლებოროობთა" ყრილობა. ყრილობას დასწრებია 6 ათასამდე კაცი. ყრილობას რეზოლიუცია მიუღია კერძო საკუთრების აღდგენისა და მაგარი მთავრობის შედგენის სასარგებლოთ. ყრილობას ჯერ გაულაშქრნია რადის „ლიბერალური პოლიტიკის" წინააღმდეგ, დაბოლოს რადა ჩამოუგდია, ზოგიერთი მინისტრები დაუპატიმრებიათ და გეტმანათ სკოროპადსკი გამოუცხადებიათ. ახალ სამინისტროში უმეტესობა კადეტები არიან.

გაზეთი „ტერსკი კაზაკ"—ასე ახასიათებს ახალ გეტმანს: „განათლებით სკოროპადსკი პაჟია. გვარდიის საუკეთესო ოფიცერი. მთელი თავისი 46 წლის სიცოცხლე მან გაატარა არა თუ რუსეთში, არამედ—რუსეთისთვის. 1915 წ. ყოფილ იმპერატორს მან მოხსენება წარუდგინა, რომ შეწყვეტილიყო გერმანიასთან ომი. გერმანია მას მიაჩნდა დაუძლეველათ. რუსეთის ხსნას ის ხედავდა გერმანიასთან ომში კი არა, არამედ—მასთან კავშირში. ახლა სკოროპადსკი თავის მანიფესტში, რომლითაც უკრაინის ხალხს მიმართა, მადლობით იხსენიებს ცენტრალური სახელმწიფოების ღვაწლს, რომ მათ იხსნეს უკრაინა დაღუპვისაგან, სინდისიერათ იბრძოდენ ეს სახელმწიფონი უკრაინის დამოუკიდებლობისათვის. ამტკიცებენ, რომ მისთვის (სკოროპადსკისთვის) უცხო ხილია უკრაინის კულტურა. ამ ექვსი წლის წინეთ ის რუსოფილი იყო. როძიანკოსთან ერთად ამტკიცებდა, რომ არავითარი უკრაინის ერი არ არსებობსო. ერთი პუბლიცისტის თქმით „ეს (სკოროპადსკი) ადამიანი კი არ არის, არამედ—ტროელთა ცხენია, რომლის სულში შესაძლოა დამალული იყო სრულიად მოულოდნელი ზრახვანი"

მდაბიურათ რომ ვსთქვათ გაზეთის აზრი, სკოროპადსკი „ციხის შიგნიდან გამტეხი" უნდა იყოს.

საბჭოთა მთავრობის კავკავის გაზეთების სიტყვით უკრაინაში გეტმანობის აღდგენა გერმანიის იმპერიალისტების საქმეა.

როგორია დამოკიდებულება ამ გეტმანთან რუსეთის „მუშათა და გლეხთა მთავრობისა"?

ამის შესახებ „ნაროდნაია ვლასტ"-ში (№ 37) მოცემულია: „გეტმანის მთავრობას აღიარებს. [illegible] ცნობების სინამდვილეს, რაც უკრაინაში მოხდა. ჩვენ ვპოულობთ სახალხო კომისართა საბჭოსაგან გამოცემულ [illegible] დოკუმენტში. [illegible] უკრაინის ახალი მთავრობა უცნია რუსეთის საბჭოთა მთავრობას.

რუსეთის საზავო დელეგაციის მდივანს ზაიცევს, პირი გეტმანის შტაბის უფროსს, პირი საგარეო საქმეთა მინისტრს: „ვადასტურებ რა თქვენს რწმუნებას რუსეთის საზავო დელეგაციის მიერ ბოძებულს, მოგიწერთ თქვენ აწარმოვოთ მოლაპარაკება უკრაინის გეტმანის მთავრობასთან უკრაინის საზღვრებზე სამხედრო მოქმედების შეწყვეტისა და საზავო მოლაპარაკების დროის და ადგილის განსაზღვრის შესახებ".

სახალხო კომ. საბჭოს თავმჯდომარე **ლენინი.**
რუსეთის საზავო დელეგ. თავმჯდ. **სტალინი.**
8 მაისი 1918 წ, მოსკოვი.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

24 მაისი.

**სტამბოლი.** მთელს ფრონტზე მდ. იორდანესა და ზღვის ნაპირებს შორის მხოლოდ მზვერავი რაზმების შეტაკებაა. გუშინდელმა ჩვენმა შეტევამ მტრის პოზიციებზე ჩვენ მოგვიცა რამდენიმე ტყვე და ერთი ტყვიისმფრქვეველი.

პალესტინის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**ბერლინი.** კემელის რაიონში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. მოწინააღმდეგე სროლის დროს ხმარობს დიდი ზომის ზარბაზნებს. ერთ-ერთ კონტრ იერიშის დროს ჩვენ მტერე უკუვაგდეთ მეორე ხაზამდის და ხელთ ვიგდეთ 2 აფიცერი, 49 ჯარისკაცი და 2 ტყვიისმფრქვეველი. ლა-ბასეს, არასის და ალბერტ შორის მდებარე ადგილებში საარტილერიო სროლა სწარმოებდა; დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

**ვენა.** მტრის ძლიერი რაზმი, რომელიც ცდილობდა ჩვენს „პოსტში" შემოსვლას ლიუნის ტბასთან ჩვენ უკუვაქციეთ, დანარჩენ ფრონტებზე ზოგან საარტილერიო სროლაა, ზოგან ჰაერში ზვერვაა.

**პარიზი.** დიდ სამხედრო მოქმედებას ქონდა ადგილი ლოკერთან, ჩვენი მძიმე არტილერიის საშვალებით მოწინააღმდეგის ზოგიერთი ბატარეები ჩავაჩუმეთ.

**ინგლისის** რადიოსტანცია იტყობინება, რომ უკანასკნელი იერიშები გერმანიის ჰაეროპლანების ლონდონზე იმით აიხსნება, რომ საშინელი ნისლი იყო და არ შეგვეძლო დაგვენახა მტერი. უკან დაბრუნების დროს ჰაერში ბრძოლა ჩვუტეხეთ და რამდენიმე ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

**ვაშინგტონი.** მიღებულია ცნობები, რომ იაპონიასა და ჩინეთის შორის მოხდა შეთანხმება, რომლის მეოხებით ისინი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მშვიდობიანობის განმტკიცებას შორეულ აღმოსავლეთში.

## ახალი ამბები

**შინაგან საქმეთა მინისტრმა** სასწრაფო წინადადება მისცა ოზურგეთის ქალაქის თავს დაუყოვნებლივ დაბრუნდეს ოზურგეთში და შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

◆ **ქართველ ქალთა მეხუთე უბნის წრე** სუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 2 ივნისს (ახალი სტილით) დანიშნულია წლიური კრება ანგარიშის განსახილველად, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად. კრება დაიწყება 11 საათზე. ხარფუხის განათლების სასწავლებელში, სუფ-სარქისის ქუჩა, № 48.

◆ **ოხების საერთო ყრილობა** დანიშნულია 24 მაისს საღამოს 5 საათზე ქალაქის „პიტომნიკში" მუშტაიდის ბაღის ახლოს—შემდეგი კითხვების განსახილველათ: დელეგატის არჩევა ეროვნულ ყრილობისთვის ს. ჯავაში, თანამედროვე მდგომარეობა, ცხინვალის ტრაგედია, როკის გზა, ეროვნულ საბჭოს რეორგანიზაცია, განცხადებები.

◆ **საერთაშორისო თათბირი** შესდგა, რომელშიაც მონაწილეობენ შინაგან საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო კონტროლიორი და ფინანსთა მინისტრი: თათბირს დავალებული აქვს შეიმუშავოს პროექტი დღიურის მომატების ყველა უწყების მოსამსახურეთათვის.

◆ **ქართველ მასწავლებელთა კავშირის** წლიური კრება ხუთშაბათს არ შესდგა, რადგან საკმაო რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა. დაინიშნა მეორე კრება მაისის 25 სათვის, საღამოს 5 საათზე, ქართულ გიმნაზიაში. განსახილველი საგნები იგივეა. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ **ქუთაისისთვის** მთავრობამ ნება დართო გადაიდოს 3 წლის ვადით 500,000 მანეთი უპროცენტო სესხი.

◆ **კავკავის** ქალაქის თავის შუამდგომლობის თანახმად, სად. კობზე დატოვებულ ოთხი ავტომობილიდან მთავრობამ დაადგინა კავკავის ქალაქის თავს მხოლოდ ორი ავტომობილი გადაეცეს.

◆ **ქართული უნივერსიტეტი.** პროფესორთა საბჭომ 21 მაისს ე. თაყაიშვილს მისი სამეცნიერო ღვაწლის გამო ქართული არქეოლოგიის წინაშე და მისი 28 წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად ქართული არქეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიანიჭა honoris causa.

— იმავე სხდომაზე საბჭომ დაადგინა უნივერსიტეტში მეცადინეობა განაგრძონ 12 ივნისამდე.

◆ **ლტოლვილ გურულების სასარგებლოთ** მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დღეს, ახალგაზრდა გურულების თაოსნობით გამართავენ დიდ სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 5 საათიდან.

◆ **გაძარცვა.** ვორონცოვის ქუჩაზე № 56 მოვაჭრე მამედ-ჯალალოვმა მილიციის უფროსს გამოუცხადა, რომ იმის მაღაზიიდან 200,000 მანეთის საქონელი გაიტანეს.

◆ **ლტოლვილები.** დადგენილია მიღებულ იქნას ზომები, რომ ლტოლვილები არ წავიდენ იმ ადგილებს იქით, სადაც საგუშაგო პუნქტებია და ჯარი ყარაულობს. 8,000 ლტოლვილ ბერძენს, რომელნიც მე-80 ვერსზე იმყოფებიან, ნება დართეს გაემგზავრონ მცხეთაში.

◆ **განმანაწილებელ პუნქტის** მოსამსახურეების და მუშების გაფიცვის საკითხის შესახებ მთავრობამ დაადგინა: სთხოვოს შრომის მინისტრს მოელაპარაკოს მოსამსახურეებს და მუშებს და ფინანსთა მინისტრს სთხოვონ ყველა მუშა და მოხამსახურე დააკმაყოფილოს.

◆ **მთავრობამ დაადგინა** საქართველოს სამხედრო გზით არც ერთი ავტომობილი არ გაუშვას გზათა მინისტრის უნებართვოდ.

◆ **დამცველმა შტაბმა შეიპყრო:** სამხედრო მოხელე ს. შევლიაკოვი—სახაზინო საქონლის მოპარვისათვის, ჯარისკაცები: ჟვიძე, ყოჩიაშვილი, როსტიაშვილი—სახაზინო საქონლის გაყიდვისათვის. ჯარისკაცი სტ. მარტიროსოვი—ცხენის მოპარვისათვის. როტმისტრი ტერ-სიმონიანცი სომეხთა ეროვნ. საბჭოში მყოფ პორუჩ. ტერ-გრიგორიანცის დაჭრისათვის.

◆ **სად. ლარსიდან სომეხთა ეროვ. საბჭოს** ატყობინებენ: „23 მაისს მთელი დღე ინგუშები სად. ლარსიდან კავკავში ლტოლვილებს არ უშვებდენ. საღამოს ლტოლვილები იძულებულნი გახდენ უკან დაბრუნებულიყვენ. მრავალი ლტოლვილი სად. ყაზბეგში არის".

◆ **თერგის სახალხო საბჭომ** დაადგინა სხვა და სხვა მოსაზრების გამო ლტოლვილები არ გაუშვას კავკავში, რის გამო ისინი სად. ლარსში შეაჩერეს. გაუშვებენ მხოლოდ იმათ, რომელნიც გზაში დარჩენ.

◆ **ქურდობა.** ღამით, 23 მაისს ავჭალის ქუჩაზე № 77, სადაც მე 6 ქართ. საზღვრების მცველი პოლკის კანცელარიიდან მოიპარეს ფულის ყუთი, 43 ათასი მანეთი იყო.

◆ **შეცდომის გასწორება.** „ერთობის" 22 მაისის ნომერში მოთავსებულ მუშათა პირველი კლუბის გახსნის ანგარიშში შეცდომით დაბეჭდილი იყო—„ბოლშევიკების თფილისის კომიტეტის წარმომადგენელი, ვლასა მგელაძე". ნამდვილათ კი, ამხ. ვლასა მგელაძეს თფილისის ბოლშევიკების კომიტეტთან არავითარი საქმე არ აქვს.

### კრებები და მიტინგები.

— დღეს, დილით 12 ნახ. საათზე ბოზარჯიანცის ფაბრიკაში მეოთხე რაიონის კოლექტივის დავალებით, ამხ. რ. ჩიხლაძე, მ. კლიმიაშვილი და ე. მახვილაძისა გამართავენ საუბარს მიმდინარე მომენტზე.

— 26 მაისს, დილის 10 საათზე, კავშირთა სადგომში (პეტრე [illegible] ქ. № 18) შესდგება ხეზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია არა ჩვეულებრივი კრება მეოთხე რაიონის კოლექტივის.

## პროვინციის ქრონიკა

**ს. ნაფიჩხოვო** (ზუგდიდის მაზრა). ეს სოფელი ძლიერ დაშორებულია ქალაქს. სამკითხველო არსებობს, მაგრამ თავის დროზე გაზეთებს ვერ ღებულობს. აქ ყოველგვარ პროვოკაციას დიდი გასავალი აქვს. განსაკუთრებით დიდ პროვოკაციას ეწევიან ამიერ-კავკასიის სეიმის და მთავრობის წინააღმდეგ ყოფილი „მობოლშევიკო" ჯარისკაცები. ყველა კრებები გახულიგანებულ ჯარისკაცთა ტერორის ქვეშ ხდება. ხშირი კრებებით (კვირაში ორჯელ იწვევენ) ხალხს მუშაობაში უშლიან ხელს. ყველა არა-სამედო პირებმა ბოლშევიკების პარტიას შეაფარეს თავი, ქურდი, ყაჩაღი, „ნასტრაჟნიკალი", ვინ გინდა მათ ორგანიზაციაში არ იყრიდეს თავს. შიმშილიც დიდი ხანია ეწვია ამ სოფელს და ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. საჭიროა ყველა ამას თავის დროზე მიექცეს ყურადღება, ვი[illegible] ჯერ არის.

**პანკისი** (თიანეთის მაზრა) 10 მაისს, სოფ. დუისოფელში ვერაგულათ მოუკლავთ სოფელ დუმასტურში მცხოვრები ფისირა ქოზაშვილი. მოუკლავთ უმიზეზოთ ქისტებს. ფისირა ქოზაშვილი იყო ხალხის მოყვარე, მაგრამ ქისტებს არ მოეწონათ ის იმიტომ, რომ მათ არ უყვართ პირში მთქმელი, იგი იყო ქურდებისა და ავაზაკების წინააღმდეგი.

## სადღეისო

მძიმე პირობებში გვიხდება ცხოვრება: საშინელი განცდის წინ სდგას მთელი მხარე... ჩვენს ახალგაზრდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას შემოესია ირგვლივ მტერი და განადგურებას უპირებს. რევოლიუციაზე ყოველ მხრივ სასტიკი იერიშები [illegible] კილს გვიჭედავენ. ამისთანა კრიტიკულ დროს თვითეული მოქალაქის გულის ყური ბათუმისკენ არის მიქცეული. ყველა გულის ფანცქალით მოელის საზავო მოლაპარაკების შედეგებს. ასეთ საბედისწერო მომენტში დიდი სარბიელი და გასავალი აქვს ყოველგვარ ცრუ ხმებს, მითქმა-მოთქმას, პროვოკაციას. აგერ სამი დღეა, რაც თფილისში ათასნაირი, შემაძრწუნებელი, ერთი მეორეზე უარესი და ერთი მეორის საწინააღმდეგო ხმები დადის... მცხოვრებთა ერთი ნაწილი ყოველივე გაგონილს ჭეშმარიტებად ღებულობს და გამოსავალ გზას ეძებს. ოსმალებმა რომ ალექსანდროპოლი აიღეს, ხმა გავრცელდა ამ ორ დღეში თფილისისკენ გამოილაშქრებენო; თითქო მთავრობისათვის წინადადება მიეცეთ—სასახლე ხუთი დღის განმავლობაში დაგვიცალეთო და სხვ. ეს ელვის სისწრაფით მოედვა მთელს ქალაქს და იწყო მცხოვრებთა ნაწილმა კავკავისკენ დენა. ფურგონი 300 მ. მაგივრად 6,000 მ. გახდა, და ყოველ წუთში იზრდება ფასი. საქონლებს, ავეჯეულობას ჩალის ფასად ჰყიდიან და მიეშურებიან, სადღაც თავის შესაფარებლად. ჩვენ არ შეგვიძლია ვინმე დავაკავოთ ამ შემთხვევაში, მაგრამ არ შეგვიძლია აგრეთვე არ აღვნიშნოთ, რომ ასეთი გაქცევა უაზრობაა. სად უნდა წავიდეს მოქალაქე, ნუ თუ არ იცის, რომ ირგვლივ მტერი გვახვევია, ჩვენ გადაჭრით ვერ ვიტყვით ოსმალები თფილისისაკენ გამოილაშქრებენ თუ არა, მაგრამ ეს კი შეგვიძლია დანამდვილებით ვსთქვათ, რომ მცხოვრებლების სულიერად შერყევა, პანიკა-ანარქიას გამოიწვევს და ეს ოსმალთა გამოლაშქრებას დააჩქარებს. ამ პანიკის დროს ფართოდ სარგებლობენ ბნელი ძალები; ეს მათთვის აღდგომაა. უნდა ითქვას, რომ ცრუ ხმებს უფრო ავრცელებენ რევოლიუციის და ხალხის მტრები, რომელთაც სურთ წყალი აამღვრიონ და შიგ თავისუფლად იჭირონ თევზი. მოქალაქენო! გაუფრთხილდით ცრუ ხმებს! ერიდეთ პროვოკაციას. იცოდეთ, რომ ამ ხმებს ბნელი ძალები ავრცელებენ თავიანთი საქმეების საკეთებლად დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი მთავრობა ყოველგვარ ოფიციალურ ცნობას თავის დროზე გამოაქვეყნებს და საჭირო ზომებს მიიღებს მცხოვრებთა ფიზიკური და ქონებრივი განადგურების წინააღმდეგ.

**ანხანი.**

## სასურსათო მინისტრის ბრძანება

ვინაიდან სასურსათო ტვირთის გადაზიდვა ამიერ-კავკასიისათვის კატასტროფიულ მდგომარეობაშია, ამით ვბრძანებ ძალდატანებით მოვალეობით მცხოვრებლებს თავის თავზე ტვირთის გადაზიდვის საქმე კავკავიდან და ყაზბეგიდან თფილისამდე. როგორც აქეთ, ის იქით.

ტვირთის გადატანაზე დაწესებულია 6 ნახ. კაპ. თითეულ ფუთზე ვერსში.

თუ სამინისტროში შემოსული სატრანსპორტო საშვალებები არ იქნა საჭირო, ნებას ვაძლევ ისინი მოხმარებულ იქნას ლტოლვილთა საჭიროებისათვის შესაფერი მოწმობებით მზრუნველობის სამინისტროდან, ანუ ნაციონალური ორგანიზაციიდან. ამ შემთხვევაში გადაზიდვაზე იხდიან იმდენს, რამდენიც დაწესებული იქნება ზემოთ ნახსენებ დაწესებულებების მიერ.

ამის სისრულეში მოყვანა ევალება სამინისტროს განსაკუთრებული რაზმის უფროსს შტაბს-კაპიტან ყუსტიევს, რომელსაც წინადადება ეძლევა თვალ-ყური ადევნოს ყველა „ფურგუნებს", ავტომობილებს და სხვა სატრანსპორტო საშვალებებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სამხედრო გზაზე.

ამ ბრძანების აუსრულებლობისთვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

სასურსათო საქმის მინისტრი **ხააკიანი.**

## დროს შეუფერებელი ფიქრები

კრიტიკის უფლება გვავალებს ჩვენ ულმობელათ გავაკრიტიკოთ არა თუ მტრის მოქმედებები, არამედ—მეგობრის ცუდი მხარეებიც. მორალურადაც და ტაქტიკურადაც გაცილებით უკეთესია ადამიანში სოციალისტური ჭეშმარიტების ჩანერგვა, თუ ჩვენ თითონ პატიოსნათ და გულახდილად ვაღიარებთ ჩვენს შეცდომებს, სანამ მასზე მტერი მაცდურათ მიგვი თითებს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიაც მტერი სიხარულით წამოიძახებს:

— აჰა!

მაგრამ ბოროტების შხამი ისეთი ძლიერი არ იქნება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მტერი ხშირათ მართალია, როცა ის ჩვენ მეგობრებს ამტყუნებს—და ეს სიმართლე კი აძლიერებს მტრის იერიშს. სამწუხარო და შეურაცხმყოფელი სიმართლის თქმა მეგობრების შესახებ მანამ, სანამ ამას მტერი იტყოდეს, ნიშნავს მტრის შეტევის დაუძლურებას.

ბოლშევიკების წრის ბარტყები ხშირათ მეუბნებიან, რომ მე დავშორდი ხალხს. მე არასოდეს არ ვიყავი ისე „მიჭედილი" ხალხზე, რომ მისი უარყოფით მხარეები არ დამენახა. და რადგანაც მე არ მივძვრები მთავრობასთან —მე არა მაქვს სურვილი საიდუმლოებამ მოიცვას ეს ცუდი მხარეები და უმდიდრო რუსის ხალხის ბნელ მასას დემაგოგიური საგალობელი.

თუ მე ვხედავ, რომ ჩვენი ხალხის თვისება ლტოლვა თანასწორობისაკენ არარაობაში, ლტოლვა, რომელიც გამომდინარეობს აზიური მიხვედრილობისაგან; რომ არარაობით ყოფნა უფრო ადვილია, იოლია, თუ მე ამას ვხედავ, მე უნდა ვაღიარო ეს.

თუ მე ვხედავ, რომ სახალხო კომისართა პოლიტიკა „ღრმათ ნაციონალურია", როგორც ამას ირონიულათ აღნიშნავენ ბოლშევიკების მტრები, ბოლშევიკების ნაციონალიზმი კი გამოიხატება თანასწორობაში სიღარიბით და არარაობით, მე ვალდებული ვარ მწუხარებით ვაღიარო: მტრები მართალნი არიან, ბოლშევიზმი მართლა ნაციონალური უბედურებაა, ვინაიდან ის მის მიერ აღძრულ ტლანქ ინსტიქტების ქაოსში ახრჩობს სუსტ ჩანასახებს რუსის კულტურისას.

ჩვენ ყველას ცოტათი გვეშინია კრიტიკის, თვით კრიტიკა კი ჩვენში იწვევს თითქმის სიძულვილს.

ჩვენში გამართლება უფრო უყვართ, ვიდრე გამტყუნება, აი ამ გამართლების სიყვარულში ჩვენზე გაცილებით უფრო ვზრუნავთ, ვინემ მოკეთეზე, ამ სიყვარულში ყოველთვის გამოსჭვივის სურვილი მომავალი პირადი ცოდვების გამართლების. დიდი წინდახედულობაა, მაგრამ საძაგლობაა.

საყვარელი გმირი რუსულ ცხოვრებაში და ლიტერატურაში არის საცოდავი, საბრალო ადამიანი, გმირებს ჩვენში გასავალი არა აქვს, ხალხს უყვარს ტუსაღები, როცა მათ კატორღისაკენ მიერეკებიან და დიდის ხალისით ეხმარება თავის წრის ძლიერ კაცს დამნაშავის ხალათის ჩაცმაში და ბორკილების გაყრაში. ძლიერნი არ უყვართ რუსეთში და ერთის მხრით ამიტომაა ჩვენში ძლიერნი არ ცხოვრობენ.

ეძებენ და უყვართ არა მებრძოლი, არა ახალი ცხოვრების ფორმის მშენებლები, არამედ მართალი კაცი, რომელიც თავის თავზე მიიღებს საძაგელ ცოდვებს მომაკვდავი ხალხისას.

აი ასეთ მასალისაგან—სოფლის ბნელი, მჩატე ხალხისაგან ჩვენს ფანტაზიორებს, მწიგნობრებს სურთ შექმნან ახალი სოციალისტური სახელმწიფო, ახალი არამც თუ ფორმით, არამედ—არსებითაც, სულით. ცხადია, მშენებლებმა უნდა იმუშაონ მასალასთან შეფარდებით, უმთავრესი და მოუშორებელი განსაკუთრებული თვისება სოფლის ხალხისა არის საკუთარი ინდივიდუალიზმი, რომელმაც აუცილებლად სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს მუშათა კლასის სოციალისტურ მისწრაფებებს.

პარიზის კომუნა გაანადგურეს გლეხებმა, აი რა უნდა ახსოვდეს მუშებს!

მათმა ხელმძღვანელებმა კი ეს უკვე დაივიწყეს. („ნ. ჟ.")

**მ. გორკი.**

## ოზურგეთის ქალაქის საბჭოს დადგენილება

თანახმად ოზურგეთის ქალაქის საბჭოს 18 და 21 მაისის სხდომის დადგენილებისა, გთხოვთ ადგილი დაუთმოთ „ერთობის" ახლო ნომერში შემდეგს:

ოზურგეთის ქალაქის საბჭომ მოისმინა რა ქალაქის თავის, ვიქტორ ღლონტის მოხსენება ქალაქის თავის თანამდებობის დატოვების შესახებ, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ერთხმათ დაადგინა: გამოეცხადოს ქალაქის თავს ვიქტორ ღლონტს თანაგრძნობა და სრული ნდობა. ქალაქის კრიტიკული მდგომარეობის გამო ეთხოვოს მას აუცილებლათ დარჩეს ქალაქის თავის თანამდებობაზე და განაგრძოს თავისი მოვალეობის ასრულება ჩვეულებრივათ, ხოლო თუ რაიმე ბრალდება იქნება წამოყენებული მის წინააღმდეგ ოზურგეთის დატოვების გამო, ამ ბრალდების პასუხის გება გაინაწილოს საბჭოს მთელმა შემადგენლობამ და ეს დადგენილება ეცნობოს საზოგადოებას პრესის საშვალებით.

ოზურგეთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი **ს. ცხომელიძე.**
საბჭოს მდივანი **ივ. ღლონტი.**

## პროვინციის საზოგადო მოღვაწეთა საყურადღებოთ

ომიანობა და შიმშილობა ყოველთვის და ყოველგან იწვევენ სხვადასხვა სნეულებებს. ჩვეულებრივი სნეულებანიც ასეთ შემთხვევებში უფრო სასტიკ ხასიათს ღებულობენ. სწორეთ ამ საზოგადო მიზეზებით აიხსნება ის გარემოება, რომ წელს ჩვენში აუარებელი ხალხი, განსაკუთრებით ბავშვები, იხოცება გადამდები სენით. მაგრამ გარდა ამ საზოგადო მიზეზებისა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს ძალას აღემატება, არიან კიდევ სხვა მიზეზებიც. ამ უკანასკნელ მიზეზებთან ბრძოლა ჩვენ შეგვიძლია. ესენი არიან ჩვენი უკულტურობა და საექიმო-სასანიტარო დაწესებულებათა უქონლობა. საქმე იმაშია, რომ წინასწარ მიღებული ზომების წყალობით შეიძლება ზოგიერთი სნეულებანი სრულიად ავიშოროთ თავიდან. მაგალითად, ვისაც ყვავილს ავუცრით მას ეს ავადმყოფობა არ დაემართება. თუ აუდუღარ წყალს არ დალევთ, ტიფი არ დაგემართებათ და სხვა. ასეთი ზომების ცხოვრებაში გას-

ტარებლათ განათლებულ ქვეყნებში არსებობენ სხვადასხვა სანიტარული დაწესებულებანი. ჩვენში ასეთი დაწესებულებები მხოლოდ ...დიდ ქალაქებში არსებობენ. ამ ჟამათ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ეპიდემიაა და დამხმარე კი არავინ არის. ამიტომ მივმართავ პროვინციის საზოგადო მოღვაწეებს და მოვუწოდებ მათ მეტი ყურადღება მიაქციონ ხალხის ჯანმრთელობის საქმეს. იქ, სადაც წინეთ სავადმყოფოები იყო და ეხლა დაკეტილია, მიიღეთ ზომები მათ გასახსნელათ. სხვა ადგილებში ეცადეთ ახლათ მოაწყოთ ქსენონები. თუ საექიმო პერსონალს ...შოვით, ქსენონისთვის საჭირო ავეჯეულობის და წამლების შეძენა შეგიძლიათ თფილისში ...მწოდებელ კომიტეტში (Комитетъ снабжения, Сергіевская 13). ამისთვის საჭიროა სოფლის ყრილობის ოქმი შეადგინოთ და რწმუნებული გამოგზავნოთ. საჭირო ნივთებს ზემოხსენებულ დაწესებულებაში იაფათ შეიძენთ, ...სურველია გუბერნიის ექიმის შემწეობით ...ძრათ ქსენონის გახსნის საკითხი. გარდა ამისა, ეხლავე გამოიწერეთ ყვავილის ასაცრელი ჩირქი თფილისიდან ან და საგუბერნიო ...ა სამაზრო ექიმებს მიმართოთ, რომლებიც ...ალდებულნი არიან ჩირქიც და ამცრელებიც ...ოგაწოდონ.

მალარიან ადგილებში მცხოვრებთ კი ვურჩევ, რაც შეიძლება მეტი ხინა შეიძინონ. ჭაობიან ადგილებში მალე გამოჩნდება მალარია ...ა წლეულს განსაკუთრებით ძნელ ფორმებში ...ამოიხატება ის, რადგანაც ხალხი ისედაც ...ასუსტებულია. ხინა არამც თუ არჩენს ადამიანს მალარიისაგან, არამედ—ვინც ხინას ღეჭულობს, იმას სრულიად არ ემართება ეს სა...ძნელი სენი. საკმარისია მუდამ დღე ზაფხულში ხუთ-ხუთი გრანი ხინა მიიღოთ, რომ ციება არ დაგემართოთ.

23 მაისი, ქ. თფილისი. ექ. ნ. რუხაძე.

## აშკარა პროვოკაცია
(წერილი ხაშურიდან).

ბნელმა ძალებმა აშკარა მოქმედება დაიწყეს. ...ლაქათ რო ვერაფერს გახდნენ, ახლა სოფლებისკენ იბრუნეს პირი. სოფლის ისედაც ...რვიული განწყობილებას უფრო ხელი შეუწყვეს და ათასგვარ პროვოკაციას მიყვეს ხელი, რომ ამით აამღვრიონ წყალი და მდგომარეობით ისარგებლონ. ასეთ კონტრ-რევოლიუციონურ აგიტაციას სამწუხაროთ ქართლში დიდი გასავალი აქვს. დღემდის თუ მათი ...ვერაზმული მოქმედება სიტყვიერი იყო, ახლა ...ვადასხვა მოწოდებით გვევლინება.

მთელ ზემო-ქართლის რაიონში ქვიშხეთის საზოგადოება, ეს ერთად ერთი კუთხეა, რომელიც მუდამ თავის მოწოდების სიმაღლეზე დგა და დგას. როდესაც ამბოხება მოხდა ...ალციხის რაიონში, ქვიშხეთის საზოგადოება ...ირველ მოწოდებისთანავე ფეხზე დადგა და ...ორჯომის ხეობისაკენ გაეშურა. ყველა ამაში ...იდი სამსახური მიუძღვის ქვიშხეთის კომისარს ნიკო მჭედლიშვილს.

სწორედ მაშინ, როდესაც შეგნებული ძალა ...ოსწყდა სოფელს და პოზიციისკენ გაეშურა, ...ოფლის ნაძირალებმა დრო იხელთეს და შავ...აზმული მოწოდება გამოუშვეს; მოწოდება, ...ომელიც სინამდვილეს სრულიად არ შეესა...ამება.

ეს მოწოდება ხელში ჩავარდნიათ პოზიციაზე მყოფ ქვიშხეთის ჯარისკაცებს. მათ გაუგზავნეს ორი წარმომადგენელი ქვიშხეთის კომისიასთან სიმართლის გამოსარკვევათ და მოითხოვენ ამ ნაძირალების პასუხგებაში მიცემას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამბობენ: ჩვენ თვითონ ჩავალთ და გავუსწორდებით მათ, ვინც ჩვენ ტყვილა-უბრალოთ ჩირქი მოგვცხოვო.

ყოველივე ეს ქვიშხეთის კომისარმა აუწყა ხაშურის წითელგვარდიის შტაბს, რომელმაც შესაფერი განკარგულება მოახდინა.

აქვე მომყავს **სიტყვა-სიტყვით** ის მოწოდება, რომელიც ეკუთვნის ქართულ ჯავშნიან მატარებლის უფროსს პორუჩიკ ანდღულაძეს. მოწოდება დაბეჭდილია სტამბაში ქაღალდის მეოთხედ ნაწილზე. „პატივცემულ ხაშურის რაიონის ქვიშხეთის კომისარმა **ნიკო მჭედლი**შვილმა მხეცურად ხალხს შეურაცყოფილობას აყენებდა. ამ დროს ამხანაგმა ალექსანდრემ ბოჟაძე, რომელიც მიდიოდა სოფ. ტეზერში ამხანაგურად სთხოვა მოინდომა დამშვიდობება ქვიშხეთის კომისარი მაინც თავისას გაიძახოდა ამხანაგი ალექსანდრე, რომელიც არის თავდადებული რეოლიუციისთვის და იცავს რეოლიუციონელ ინტერესებს სიმართლე სთქვა, მაგრამ ამაზე კამისარმა ინტერესები ჩაიდო, ამხანაკი ალექსანდრე როცა ტეხურში წავიდა და ეკლესიაზე გამოვიდა იმ დროს ქვიშხეთის კომისარი მოვიდა ეკლესიაზე და წამოეყვანა ჯარისკაცები, თავისი ბიძაშვილები. ამხანაგმა ჯარისკაცებმა საქმე რაში იყო არ იცოდენ და თოფში პატრონის წყობა დაუწყეს. ამხანაგ ალექსანდრეს მხეცურათ შეჰკიოდა კამისარი ნიკალა მჭედლიშვილი. გიწოდებთ ქვიშხეთის ამხანაკებო რაიონის ხალხო, გთხოვთ თქვენ კამისარზე ზომები მიიღოთ გიწოდებთ ქართული ჯავშნიანი მატარებლის უმფროსი პორუჩიკი ანდგულაზე“.

ანდღულაძის მოწოდების სიმართლის გამოსარკვევათ საჭიროდ მიმაჩნია აქვე მოვათავსო თვით ქვიშხეთის კომისარის ნ. მჭედლიშვილის საპასუხო წერილი.

**ქართულ ჯავშნიან მატარებლის უფროსს პორუჩიკ ანდღულაძეს.**

24 აპრილს, ძველი სტილით ვიმყოფებოდი სადგ. ვარვარინოში სადგურის უფროსის კანტორაში. ამ დროს სადგურის ბაქანზე ისროლეს ტყვია რევოლვერიდან. სადგურის უფროსმა მთხოვა, რომ საზოგადოებრივი სიწყნარე და წესრიგი არ დარღვეულიყო. გავედი ბაქანზე და ვიკითხე რატომ ისროდენ რევოლვერიდან. მსროლელი აღმოჩნდა სოფ. სავანლის უბნიდან პავლე ციყელაშვილი. მე წინადადება მივეცი, რომ შემდეგში არ გაემეორებია სროლა. ამ დროს პავლე ციყელაშვილს წამოექომაგა ალექსანდრე ბოჟაძე და წარმოსთქვა ისეთი სიტყვები, რევოლიუციისათვის მავნებელი იყო, კიდევ ზედ დამატებით მითხრა: ნუ უშლიო. შენ თუ კომისარი ხარ, მე შენზე უკეთესი ვარო და უფლებაც შენზე მეტი მაქვსო. იმისათვის რომ არ ვიცოდით ხსენებული პიროვნება რა კაცი იყო, ან რითი უნდა მეცნო რევოლიუციის დამცველად, როდესაც ის დამშვიდების მაგიერ სხვას აქეზებდა. დაკავების შემდეგ ამხ. ჯარისკაცებმა მთხოვეს, რადგანაც აღდგომა დღე ...რის აპატიეო. მეც ვაპატიე და გაუშვი შესაფერი წინადადებით. პორუჩიკი ანდღულაძე კი ამტკიცებს დაჭერ მარიტებით ალ. ბოჟაძის გადაცემულ სიცრუეს, როდესაც იქ თვითონ ანდღულაძე სრულიად არა ყოფილა.

ჯარისკაცად ნამყოფი ქვიშხეთის კომისარი ნიკო მჭედლიშვილი“.

როგორც მჭედლიშვილის წერილიდან სჩანს, რომელიც რამოდენიმე პიროვნებისაგან არის შემოწმებული, პორუჩიკ ანდღულაძის მოწოდება სრულ სიყალბეზეა აშენებული. ჯერ ერთი, რომ თვით მოწოდება არსებითად არავითარ აზრს არ შეიცავს. მეორედ დაწერილია ისე ულაზათოდ და სამარცხვინოდ, რომ, ვეჭვობ, ეს მოწოდება პორუჩიკ ანდღულაძეს ეკუთვნოდეს.

**ამიტომ ჩვენ პასუხს ვითხოვთ ქართულ ჯავშნიანი მატარებლის უფროს პორუჩიკ ანდღულაძისაგან;** მას ეკუთვნის ეს შავრაზმული და პროვოკატორული მოწოდება თუ მისი სახელით ნაძირალები სარგებლობენ?

ვადას გაძლევთ ერთ კვირას დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა და მოვითხოვთ კატეგორიულ პასუხს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში იქნებით მიცემული და საქმესაც სათანადო მსვლელობა მიეცემა.

ხაშურის წითელ გვარდიის შტაბის დავალებით ...

22 მაისი.

## სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 22 მაისს საღ. 5 საათზე შესდგა პირველი რაიონის კოლექტივის კრება მოსალოდნელ საფრთხის შესახებ საკითხის გასარჩევად. კრებამ ამის შესახებ გადასწყვიტა იქნეს მკაცრი ზომები მიღებული პროვოკატორების წინააღმდეგ. კრებამ მიიღო ამხ. ბახტაძის მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: იმ დროს, როდესაც ჩვენი სამშვიდობო დელეგაცია ბათუმში ოსმალეთის მთავრობასთან და მის მოკავშირეებთან აწარმოებს მოლაპარაკებას, ზავის პირობების შესახებ, ოსმალეთის აგენტების მიერ მოწყობილი შემოტევა ჩვენ წინააღმდეგ—უნდა ჩაითვალოს ყაჩაღთა ბრბოს მოქმედებათ,—რევოლიუციონური დემოკრატია ვალდებულია შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიოს მოსეულ ბრბოს და თავი დაიცვას.

მდივანი **ფოფხაძე.**

## მუშათა შორის

**ფოთი.** (ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა ცხოვრებიდან). როდესაც დადგა ბრწყინვალე დრო და დამონავებულმა მასსამ იგემა თავისუფლება, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მდგომარეობაც ცოტათი შეიცვალა, მაგრამ ყოველივე ეს იყო დროებითი. წერეთლის სამინისტრომ ამ დარგს ბევრი ახალი ნაბიჯები გადაადგმევინა, მაგრამ ჩვენ ვერ შევიგებეთ მას მომზადებულათ. დღეს კი, როდესაც ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა ჩვენმა მთავრობამ, ეს თავზარდამცემი გახდა ზოგიერთ აქ მოკალათებულ პირთათვის, რომლებიც ამას სულ სხვა სახელით ნათლავენ და სულიერი სიმშვიდემ მათ შორის უკვე გადალახა საზღვარი. და ასეთ დროს, როცა მეტი სიფრთხილე—ენერგია და შეკავშირება აუცილებლობას წარმოადგენს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთათვის, რათა არ მიეცეს საბაბი აქ მოკალათებულ მონარხისტებს თავისუფალ მოქმედებისა, ასწორედ ასეთ დროს ვღებულობთ ჩვენი უმაღლესი მთავრობისაგან ბრძანებას—ყოველივე ძალა-უფლება „ნაჩალნიკებს“, ყველაფერში დაემორჩილეთ მათო. კარგი და პატიოსანი ჩვენ ეს აუცილებელ-საჭიროებად მიგვაჩნია, მაგრამ არ იკითხავთ ვინ არიან ეს „ნაჩალნიკები“? (თითქმის უმრავლესობა) კონტრ-რევოლიუციონერები, მონარქისტები!

როდესაც ჩვენმა ფოსტის უფროსმა მიიღო ასეთი ბრძანება მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა. ბრძანებას ბრძანებაზე სცემდა.

ის კომიტეტს ყველა ამაეში სრულიად არ დაკითხებია და მოქმედებდა დამოუკიდებლად.

## გმირს

ოი აკურთხოს ის ქრისტე ღმერთმა,
ვისაც შენებრი დაბადებია!

ი. ჭ—ძე.

როგორც ნიანგი არწივის ფრთაზე,
ცოდვით დათვრალი და უძინარი,
ნისლი ჩამოწვა სამშობლო მთაზე,
ბნელი, ყრომალი, გაუცინარი;
საშიში ელვა კრთის მის უფსკრულში,
საბედისწერო დასკვნილა მეხი
და მიწურულა სულთქმა ჩვენს გულში,
რომ იქ სიკვდილმა ჩამოდგას ფეხი...
გადაგვტეხია მშვილდი ფიცხელი,
არა გვყავს ვეფხი ელვის დამჭერი,
არც სიმამაცე ლომივით ხელი,
არც შემართება მძლავრი დამჭერი...
მოდი, ვაფრქვიოთ ცრემლები წმინდა,
გამოვიტიროთ სიცოცხლის გერი!—
და ან ეს გლოვა რისთვის გვინდა
აღარ არსებობ თუ თვითონ ერი!?.
მაგრამ ვაი თუ შემთხვევას ეძებს,
სიკვდილი ულვთოთ შემოპარული,
მაშინ ხომ ისევ მონახავს გზებს,
სირცხვილი, ზიზღი და სიყვარული,
ასეთ ყოფაში იშობა გმირი,
გადაერწევა ბედის აკვანი,
გაუბრწყინდება კვლავ იმედს პირი
სასიქადულო და სათაყვანი...
ჩუმია ხალხი და მისი ნება,
როცა ზრდა არის იქ თანდათანი,—
უცაბედია იქ აღტყინება
მოულოდნელი ვით მეხტატანი...
და იმან იცის თავის დადება,
ცეცხლია მისი გულის წუხილი,
მწამს, რომ იქ მეხი დაიბადება
ამოვარდება ძლევის ქუხილი!
ზეცა უგალობს შენს დაბადებას,
მისი ვარსკვლავი შუქსხივოსანი
და მარად გიმღერს ქებათა ქებას
გმირო მამაცო შენი მგოსანი!
შენ უკვდავების ნათელი გმოსავს,
გდარაჯობს ბედი ჯაჭვ-ჯავშნიანი,
სიკვდილი გეძებს მიწასა ყნოსავს,
მაგრამ აშინებს მას დღე მზიანი.
ის სიბნელეში დაიპარება,
შეყვარებული, ისარსა მტყორცნის,—
გმირის გულს მხდალი ვერ ეკარება
და შერცხვენილი ფეხებსა ჰკოცნის!..

...ტუქსიშვილი.

14 აპრილი 1918 წ.

ერთი დღის განმავლობაში შემჩნეულ იქნა მოსამსახურეთა უდანაშაულოდ შეურაცყოფაშევიწროებაც.

რადგანაც ჩვენს უფროსს ძველი ცოდვები ძლიერ უმძიმებდა ზურგს და ის პოლიტიკურადაც არა საიმედო იყო, ამისათვის კომიტეტის მიერ მოწვეულ იქმნა საზოგადო კრება, რომელმაც დაავალა კომიტეტს: თვალ-ყური ადევნოს უფროსის მოქმედებას, რათა უსამართლოდ არავინ იჩაგრებოდეს და ყოველივე საქმეები რიგიანად სრულდებოდეს.

მე მინდა ხაზი გაუსვა აქ ერთ რამეს: შეიძლება თუ არა საქმის წაყვანა რიგიან პირობებში იქ, სადაც საქმის სათავეში საიმედო პირი არ დგას? მე მგონია, არა. ამას გამოცდილებაც გვიმტკიცებს.

დიდი შეცდომა დაუშვა საოლქო კომიტეტმა, როდესაც ეს გეგმა შეიმუშავა, რადგანაც ის ყველა მოსამსახურეების მიერ არის ამორჩეული და იგინი ერთ დროს სხვა და სხვა კანტორებში მსახურობდენ და ცოტა თუ ბევრად მათ სხვაზე უფრო უნდა იცოდენ ვის გადასცენ ძალა-უფლება. ნუ თუ იგინი არ იცნობენ ძველი პოლიციის დროს თავმოყრილ უფროსებს და მათ კანონ-მდებლობას? იცნობენ, კარგადაც იცნობენ, და ამისათვის შეცდომათ უნდა ჩაეთვალოთ მათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ჩვენ გვინდა უფროსი, რომელიც დაიცავს ჩვენი მთავრობის, ამიერ-კავკასიის მთავრობის ინტერესებს და არა თვითმპყრობელები, რომლნიც თვიანთ „მეს“ ქვეყანასაც ანაცვალებენ. ჩვენ გვძღნობს და გვაკვირვებს ასეთი ნაბიჯი საოლქო კომიტეტისა.

**ხ. ჩინელი.**

## ტყვე ჩვენი ჯარისკაცები
(1 აპრილს ბათუმში ტყვეთ ჩავარდნილნი).

გია ი. აბაშიძე, შალვა ი. კურცხალია, ქაჯაია, პეტრე ე. კურცხალია, გიორგი ი. ზურაბიშვილი, ნიკოლოზ დ. ლომბერიძე, პარმენ ნ. ლეჟავა, გიორგი ა. მიქელაძე, ალექსანდრე შაკინ, კონსტანტინე ე. ჯიბლაძე, ვახტანგ გ. ოქროპირიძე, ნესტორ გ. ხაბულიანი, გრიგოლ ს. კაპანაძე, ილიანე გ. გაწერელი, იონა ფ. კვანტალიანი, აბრამ ს. ბუხბინდერ, შალვა ვ. სალაძე. მიხაილ გ. არუშიძე, შოთა მ. ბარამიძე, ვასილ ქ. დარახველიძე, ივანე გ. ჩაჩანიძე, ალექსანდრე მ. გოროხელიძე, დავით კ. ჟორდანია, ბარნაბა ნ. გოგუაძე, სპირიდონ დ. ქვანია, შალვა ბ. რუსიაშვილი, ამვროსი ი. კაცაძე, აქვსენტი დ. პოლოკავა, გრიგოლ გ. რუხაძე, აკაკი ა. კვინჩია. სერაპიონ გ. რუხაძე, ვლადიმერ ს. კალაძე, შალიკო კ. კაცაძე, მათე ო. ბურკაძე, კალისტრატე ეს. თევზაძე, ალექსანდრე თ. კაცაძე, თეოფილე ბ. კორძაძე, გალაქტიონ ე. კოპალეიშვილი, სილოვან დ. ბახტაძე, ლავრენტი გ. ლეჟავა, სიმონ იას. ჯოლიძე, პროკოფი მ. მამფორია, ივანე მ. ძაგნიძე, დავითი დ. ძაგნიძე, ბარნაბი დ. ანდღულაძე, ვასილ მ. ჩანჩიბაძე, ელისე არ. ღლონტი, სერგია მ. შალიკაშვილი, ამვროსი გ. ცადრაძე, ვიქტორ კ. ყარგიშვილი, თედორე ა. ჩიკაშუა, იაგორ ს. გოგუაძე, კოლია ლ. ჭანუყვაძე, ამვროსი გ. სადრაძე, პროკოფი დ. ჩხაიძე დიმიტრი ს. ჭყონია, ექვთიმე ლ. ბიბილეიშვილი, იასონ ვ. ლეკვეიშვილი, ლავრენტი ს. რაზმაძე, ალექსანდრე ლ. ბიბილეიშვილი, გალაქტიონ ლ. ხარაბაძე, ნესტორ ი. გეგეჭკორი ვარლამ მ. ლეკვეიშვილი, ლუკა ვ. სამხარაძე, ტიტიკო ფ. რატიანი, შალვა ა. რატიანი, აკაკი ნ. შათირიშვილი, ევგენი გ. მელაძე, ალექსანდრე გ. მხალაძე, თედო გ. ნაჩხატაშვილი, ივანე კ. გიგოლაშვილი, გიორგი თ. ბალანჩივაძე, სანდრო დ. კერესელიძე. სიმონ დ. კლდიაშვილი, ვლადიმერ კ. გაბუნია, ნიკოლოზ დ. სუხიაშვილი, იაკობ ბ. ჭყადუა, ალექსი შ. ხუხუა, ფილიპე მ. ქაგანაია, ვალოდია ზ. ნეკაშვილი, ალექსანდრე ა. თავაძე, გიორგი კირილეს ძე მგელაძე, ილია გ. გუდავაძე, დათიკო ი. ჩხიკვაძე, დათიკო ი. ბახტაძე, აკაკი ი. ბახტაძე, ვასიკო ი. ბახტაძე, კოლია დიმ. ჯალაღანია, ვანიჩკა ილ. სანაძე, გიორგი ილ. სანაძე (ძმები). ევგენი გერ. მელაძე, ნესტორ ნ. წივწივაძე, გიორგი თ. ბალანჩივაძე, ვანო კ. გოგოლაშვილი, დავით პ. ცხადაძე, ილია თ. კაპანაძე, ნიკოლოზ ს. ღიბრაძე, ნიკოლოზ გ. გოდერიძე, გიორგი პ. გელაშვილი, ივანე ს. ჩეხკეზოვი, ზახარი გ. საათაშვილი, გიორგი წ. ზერეკიძე, ალექსანდრე თ. ხაჩიძე, აკაკი დ. კინწურაშვილი, გიორგი ი. ოსიტაშვილი, სერგო ზ. ჯღარკავა, კაპიტონ ვ. ახალაძე, გრიგორი ყ. ახალაძე, ივსიხი თ. მგელაძე, ბესარიონ ა. დოლიძე, ირაკლი ა. ბერძენიშვილი, ალექსანდრე ს. ელიაძე, პარმენ მ. ელიაძე, ვანო ყ. დოლიძე, გრიგორი დ. ჩხეტია, სერაპიონ ი. შავგულიძე, ვლადიმერ ა. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ალექსანდრე ე. თარხან-მოურავი, სოლომონ ს. გამყრელიძე, შუქრი კ. ტყებუჩავა, ივანე ს. ხუნდაძე, რაჟდენ ა. ზამთარაძე, აკაკი დ. ზამთარაძე, ილია ლ. ზამთარაძე, კოლია თ. ცაგარეიშვილი ვასილი ვს. კაკაბაძე, აკაკი ან. გურშელიშვილი, ამბერგი მ. ჯუღელი, კახიანე ბ. კაპანაძე, გიორგი მ. გენაძე, სამუილ ს. პურაძე, კონსტანტინე ათ. ღოლაბერიძე, რაჟდენ პ. ბარამიძე, გიორგი ზ. კაკიაშვილი, ლეონტი ტ. გუდაძე, მიხეილ გ. კვინიკაძე, ვლადიმერ შ. ცხოვრებაძე, მიხა დ. კაკიაშვილი, სერგია მ. ლაცაბიძე, სოლომონ ს. ყიფიანი, ვალერო კ. ჯუღელი, იროდი ს. კაპანაძე, ილია ს. ლოლობერიძე, ევგენი მ. მიქაძე, ერასტი გ. ფახურიძე, ვალიკო მ. კერვალიძე, ბესარიონ ბ. მოსიაშვილი, კირილე ი. პოლაძე, ვიქტორ ილ. რევაზიშვილი, ნესტორ გ. ლომიძე, პავლე თ. ლონლაძე, დავით ხ. სარალიძე, შალიკო სპ. კირვალიძე ამბაკო ნ. ლეჟავა, ლადიკო ალ. შათირიშვილი, ალექსანდრე ი. იაკობაშვილი, ნიკოლოზ გ. ბარამიძე, ლავრენტი ს. ზაბახიძე, გრიგორი მ. ბოხოხაძე, მელიტონ ბ. ჩხეიძე, ვიქტორ ნ. ფუტურიძე, პორფილე ივლ. ბაბუნაშვილი, ელიზბარ მ. ჯანჯღავა, იოსებ გ. მიქელაძე, სოსიკო გ. ცქვიტიშვილი, აქვსენტი გ. შუკაკიძე, ვარდენ გრ. ბარკალაია, ვიქტორ აფ. კაჭარავა, შალვა ვ. ხარჩილავა, ლავრენტი ფ. ზარკუა, ივლიანე ტ. მგელაშვილი, ერმილე ნ. თედორაძე, არქიფო ი. თედორაძე, გიორგი ილ. გაგნიძე, სანდრო გ. ჭამბურია, ლავრენტი პ. კემულარია, ნიკა ივ. გელაშვილი, ვარდენ ზ. გძელიშვილი, ვალიკო ივ. გძელიშვილი, პორფილე კ. ფუტურიძე, კირილე მ. ყუბუნეიშვილი, უშანგი ექვთ. ჩიტაიშვილი, ზოსიმე ვ. ბაბუნაიშვილი, პლატონ ზ. ფხაკაძე, სერაპიონ ფ. გოდვაძე, კოლია ექ. ციმფურიძე, სერგია გიორ. დვალი, მათე სარ. დვალი, დიმიტრი გრ. წერეთელი, ვალერიანე გეორ. მიქაბაძე, ალექსანდრე ივ. თელია, ალექსანდრე შ. ძნელაძე, ვასილ იოს. გძელიძე, ლადვა დ. შენგელია, ალექსანდრე გ. შენგელია, ვარლამ გ. ნიკურაძე, რაფიელ ს. სულაბერიძე, ივანე მ. გიორგაძე, შალვა ნ. ფიჩაშვილი, აკაკი ბ. ხარაბაძე, ვარლამ ბ. ხარაბაძე, პროკოფი ვ. ფრანგიშვილი, კალისტრატე კ. ფრანგიშვილი; ივანე დ. კამლაძე, შალვა ნ. წერეთელი, ვლადიმე გ. შვანგირაძე, სანდრო ი. ლომიძე, გეორგი ს. სულაბერიძე, ილარიონ მ. ნასრია, მიხეილ ი. გაბედავა, მიხა გ. კაპანაძე, გიორგი თ. მაჭარაძე, გაბრიელ ირ. ჩხარტიშვილი, ალფესი ი. მელუა, ნიკოლოზ თ. ჩუბუნიძე, ივანე ს. ხარჩიძე, გიორგი ზ. გრიგოლაშვილი, ალექსანდრე ე. ლომიძე, ალექსანდე ს. ლომიძე, კორნელი ბ. ოკროპიძე, ვლადიმერ ხ. წეროძე, ტარასი ი. მალლაფერიძე, ალექსანდრე თ. ლეჟავა, აკაკი იოს. ნაცვლიშვილი, ივანე გ. ქებულაძე, გრიგორი ლ. ჭანტურია, აბესალომ ხ. სამხარაძე, გრიგორი ნ. სამხარაძე, შალვა გ. სამხარაძე, ფეოდორ ად. კუპატაძე, სიმონ მ. შეყრილაძე, პოლიკარპე ნ. ვაშაკიძე, მათე ნ. ვაშაკიძე, დომენტი მ. კიკაჩეიშვილი, გიორგი ვ. ხარაბაძე, გიორგი დ. ბარამია, ვალერიანე დ. აბულაძე, მოსე ერ. მგელაძე, ავქსენტი ს. მაგრაძე, სარიონ ჭყონია, შალვა ალ. კახნიაშვილი, გრიგოლ ნ. კახნიაშვილი, ვლადიმერ გ. კახნიაშვილი, ალექსანდრე თ. კაპანაძე, ვასილი ივ. გოგუაძე, შალვა ს. შამნაძე, გრიგორი ბ. ძინძიბაძე, გრიგორი გ. მაჭავარიანი, თეოდორე გ. მომცემლიძე, პოლიკარპე ეფ. ხაღეიშვილი(?) ანტონ პ. მახარაძე, არსენ კ. მახარაძე, ვარდენ ... ლერიანე მ. ურდია, ალექსანდრე ი. სტურუა, კარპო მ. ჩულუხაძე, გრიგორი მ. სულაქველიძე, სოკრატ ს. ბურჯენაძე, ვენედიქტე ბ. გენაძე.

(შემდეგი იქნება).

## პროვინცია

**სამეგრელო.** სამეგრელოს ამბებმა თვით მეგრელებში დიდი გავლენა მოახდინა. ეხლა ყველა დარწმუნებულია, რომ გამოსვლის მომწყობთ კიდეც რომ გაემარჯვათ, ამით სამეგრელოს დემოკრატია ვერ მოიგებდა. პირიქით, დიდი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ იგი გაცილებით უარეს პირობებში ჩავარდებოდა. ასეთი სულიერი განწყობილება იყო მიზეზი, რომ მთავრობის ჯარების გამოჩენა იდუმალ სიხარულს იწვევდა მშრომელ გლეხობაში. საერთოდ სამეგრელოს გლეხობა ყველაფერს უიმედოთ უყურებს. მაზე შთაბეჭდილებას ვერაფერი ვერ ახდენს. უწინ მას მეტი სიფხიზლე ეტყობოდა, ყოველგვარ ახალ მოვლენებს ყურადღებით ეპყრობოდა. რევოლიუცია იღუპება, სამშობლო განსაცდელშია, ქვეყანას ფიზიკური განადგურება მოელის და სხვა ასეთები ხალხში გამოხმაურებას ვერ პოულობს. მას მოსწყინდა კრებებიც. უმეტეს შემთხვევებში ყრილობებზე მეგრელი გლეხი დინჯათ იწევა ჩიბუხს და თუ ოდესმე ახედა მოლაპარაკეს, მის თვალებში გაუგებრობის მეტს ვერას ამოიკითხავთ. რა აწუხებს მას? ამ კითხვაზე ერთბაშად ვერც ერთი მათგანი ვერ მოგიგებს. თუ დიდხანს ჩაეკითხეთ და მის ნათქვამს დასკვნა გაუკეთეთ, დარწმუნდებით, რომ ის სრულებით დაბნეულა და არ იცის რას წაეპოტინოს. ის სრულებით დააბნია განსაკუთრებით ამ ნახევარი წლის ამბებმა. დაეკითხეთ მათ:—ვისგან მოელოდი შენ შველას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას რევოლიუციამდეო,—და ის დაახლოვებით შემდეგს გიპასუხებს:—ძველი მთავრობა არ მიყვარდა, რადგან მის დროში სიბნელესთან ერთად პირუტყვული მოპყრობა მქონდა მთავრობის მოხელეებისაგან. ჩემთვის მებრძოლად მიმაჩნდა ნოე ჟორდანია, ჩხეიძე, გეგეჭკორი, ჩხენკელი და ესენიც მოღალატეთ რომ გადაქცეულან, აბა რის იმედი უნდა მქონდეს დღესაო! მართლაც დიდი იყო მასში ჩვენი ლიდერების სიყვარული. ის ორი გზით მოელოდა შველას: ერთი იყო ნიკოლოზის მთავრობა, რომლის დროს მშვიდათ მაინც ცხოვრობდა; მეორე იყო „ახალი თაობის“ გზა, რომლის სიყვარულს იგი სათუთად ატარებდა გულში. „ახალი თაობა“ მას ვერ წარმოედგინა ჟორდანია-ჩხეიძე-გეგეჭკორის გარეშე. ისიც გარკვეულად იყო უკანასკნელ დრომდის, როდესაც მას ძველი დაეკარგა და ახალ ბედნიერებას ამათ ხელიდან მოელოდა. ის სავსებით დაადგა ერთ გზას, უკუ-აგდო ყოველგვარი სხვადასხვა ნახვევები, ერთ წამსაც არ დანდობია სხვა პარტიებს და ყოველთვის ერთ და იმავეს გაიძახოდა:—მე დიდიხანია მესმის, რომ ნოე ჟორდანია ჭკვიანი კაცია; თუ იგი მიღალატებს, მაშინ როგორ ... და ... ისეთ პირებს, რომლის შესახებ ... რაფერი არ ვიციო, მაშინ მეგრელი გლეხი ხალისით ეკიდებოდა მთავრობის დეკრეტებს, მთავრობის გამარჯვებას თავის გამარჯვებათ თვლიდა, მთავრობა მას მნათობ ვარსკვლავად მიაჩნდა.

დიდხანს არ გაგრძელებულა ეს. ოქტომბერნოემბრიდან იწყება მისი მოწამვლის დღეები. მას ამ დღეებიდან ჩასძახეს ყურში, რომ მისი სანუკვარი მეთაურები მოღალატეებია, ისინი თავად-აზნაურების ინტერესებს იცავენ, რომ ასე არ იყოს, ძველი მთავრობის დროს რომ იყო, იმაზე უკეთესი პირობები შეიქნებოდა შენთვისო. ნასწავლი ხალხი მას ისეთ ბატონათ დაუხატეს, რომელიც მგელივით შეყურებს გლეხობას და ლამობს ბატონ ყმობა შემოიღოს. ნასწავლი ხალხი საერთოდ შეაძულეს მას.

დიდხანს არ დაუთმია მეგრელ გლეხსაც. მთელ სამ-ოთხ თვეს ებრძოდა ის ასეთ ამბების მომტან ელემენტებს, ამხანაგურად უკურებდა მათ, თითქოს გულში ლაპარაკობს—ვიჯმნი ეშმაკისაგანო. ეს ისეთი მდგომარეობა იყო მისთვის, როდესაც მას სრულებით აართვეს რევოლიუციონური აქტივობა, თუ ასეთს ის ოდესმე იჩენდა და სავსებით პასიური გახადეს: ის ამ მდგომარეობაში რევოლიუციიდან კიდევ მოელოდა გაბედნიერებას, მაგრამ მისთვის მას წვლილის გაღება არ შეეძლო. აქ ის დაემსგავსა იმ ჯუჯულ ბარტყებს, რომელნიც დედის ყოველ განძრევაზე პირს აღებენ,—იქნება რამე მაჭამოსო. რევოლიუცია კი მისგან დახმარებას მოითხოვდა. რევოლიუციის ქარცეცხლი ვერ მოითმენდა ამიერ-კავკასიის თვალსაჩინო ნაწილის, მდიდარ სამეგრელოს მიძინებას. რევოლიუციამ სამეგრელოს მოთხოვა ფიზიკური ძალები, რაც მისგან ვერ მიიღო. ეს მოთხოვნა არ ყოფილა გადაჭრით. რევოლიუციისავე ინტერესი მოითხოვდა სამეგრელოს ზედმეტი სურსათი გაენაწილებინა სხვა კუთხეებისთვის. ამ მოთხოვნის უარყოფას ვერ შესძ...

რევოლ...

დაავგ...

ბრ...

[illegible]

ბით იტანჯებოდენ ჩემებრ ჩაგრულების დაცვისთვისო. თუმც ისეთი თბილი არაა მისი გრძნობა, როგორც ეს იყო რევოლიუციის პირველ ნახევარ წელს, მაგრამ არც მთლად ცივია. იგი დარწმუნდა, რომ მისი მთავრობა ფარისეველი არ ყოფილა, სიმართლეს ეუბნება და თუ სიმინდი ძალით მიაქვთ მისგან, სამეგრელოს ამბების და ბათუმის დაცემის შემდეგ იგი ცდილობს მთავრობა გაამართლოს.

ახლა იგი შორაპნის მაზრაშიც ხედავს მისებრ გლეხს დამშეულს და ცოტას კი ბუზღუნობს, მაგრამ მაინც იძლევა სიმინდს. დღეს იგი ამ რას ფიქრობს: ძველის მობრუნება შეუძლებელია. ახალ გზებში ყველაზე სანდო ნაცადი მთავრობის გზაა. მან უნდა გამაგრდეს ეს მთავრობა, მაგრამ თვითონ არ ძალუძს დახმარება თავისი ნებით. ის მოითხოვს,—მოგვეპყარით სასტიკად და მოგვეხმარე, ჩვენ რა ვიცით საქმის გაძღოლა, თქვენ გამოგვყევით და თქვენ უნდა გაგვიძღვეთო. მისთვის არის „ერთი ახალი თაობა", პარტიებს არ დაგიდევს. წახდება საქმე,—ეს „ახალი თაობის", ე. ი. რევოლიუციის ბრალია. ეტყვი, ეს ამ პარტიის ბრალიაო, ის გეტყვის: რა ვიცი მე პარტია, მე მინდა მიწა, სიმშვიდე და პატიოსანი ცხოვრებაო.

ასეთ მის განწყობილებას ისიც ამტკიცებს, რომ ყოფილ ჯ. კ. იარაღის აყრამ სამეგრელოს მთელი გლეხობა გაახარა. ამ სიხარულს ისინი არ მალავდენ და ეხმარებოდენ იარაღის ასაყრელათ ჩასულ რაზმებს. დღეს იგი ისევ გამოფხიზლების გზას ადგია. თუმც იგი დღესაც პასიურია, მაგრამ რეაქციონური მაინც არ არის.

არ. ფანცულაია.

---

ქ. სამტრედია. 10 მაისს კომიტეტმა გაგზავნა მოხსენება როგორც სამიწათ-მოქმედო სამინისტროში, აგრეთვე სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტში.

ამ დღეებში აქ ჩამოვიდა მიწის მიმღები კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მიწების მიღებას. კომისიაში არ შედის რაიონული კ-ტის წევრი, როგორც კარგათ მცოდნე პირი ადგილობრივ პირობებისა, აუცილებელი საჭირო კი იყო. რაიონული კომიტეტი სთხოვს სამაზრო კ-ტს აცნობოს მას იურდიული უფლებები და აგრეთვე არის ის შემდეგში საჭირო თუ არა.

19 მაისს მოხდა სამტრედიის რაიონის საადგილ-მამულო კომიტეტისა და საზოგადოებების კომისიების შეერთებული კრება, კრებაზე მცირე რიცხვი გამოცხადდა, ამიტომ კრებამ თავი თათბირათ გამოაცხადა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წელს გაცილებით მეტი დაითესლა ყანები, ვიდრე გასულ წელს, სავრთოთ კომისიების მუშაობას დიდი ნაყოფი გამოუღია. უკმაყოფილებებს იშვიათად ჰქონია ადგილი, ყოფილა შემთხვევები ადგილის გაყიდვის და ნაყიდობის ძველის რიცხვებით დაწერისა, რაც არ გამოპარვიათ კომისიებს. ივ. კიკაბიძემ გააცნო კრებას მიწის მიმღებ კომისიის ჩამოსვლა და მოუწოდა, რომ ყველამ სათანადო დახმარება აღმოუჩინონ ხსენებულ კომისიას, რომ მემამულეებმა არ გადამალონ მიწები ზომვის დროს. როგორც აღნიშნეს წელს ხშირი ყოფილა „მჭრელი", რომელიც ანადგურებს ახლათ ამოსულ სიმინდს, რის გამოც ზოგ ადგილას ხელმეორეთ დათესვა უხდება მუშას. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და მომავალში მაინც იქნას მიღებული „მჭრელის" საწინააღმდეგო საშუალებები.

X.

# წერილი რედაქციის მიმართ

რ. ყიფიანი თავის წერილში სხვათა შორის მეც მისაყვედურებს რატომ გიგა ჩიქოვანის წერილის შესახებ ხმას არ ვიღებ—სადაც ეს უკანასკნელი ბრალს სდებს სასურსათო კომიტეტს (ვითომც დაწესებულ სიმიდის ფასზე ოც მანეთზე—კიდევ წაგვემატებიოს ოთხი მანეთი რაღაც მიზეზის გამო).

იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რაც მე სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეთ ვიყავი, არავითარ ამგვარ დადგენილებას ადგილი არ ქონია—ამას თვით ჩემი ხელ-მოწერილი ოქმები დაუმტკიცებს სინამდვილის გაგების მსურველს. მე კი მზათა ვარ ყოველივე ჩემს ნამოქმედარში თამამათ პასუხი ვაგო პარტიისა და საზოგადოების წინაშე, რომელსაც ვემსახურებოდი. თუ აქნამდის გაჩუმებული ვიყავი არა იმისათვის, რომ რაიმე დანაშაულობა მიმიძღოდეს ანუ გულგრილათ ვეკიდე საზოგადო საქმეს—არამედ იმიტომ, რომ ჩემის მხრით უკვე გამორკვეული მეგონა ეს საქმე და მეორეც ზედმეტი ლაპარაკით მკითხველის სმენას არ ვღალავ და ან ვის სცალია წვრილმანებისათვის ამ საშინელ მომენტში?!

რაც შეეხება ამბაკო რაზმაძეს, მე ისეთ სუსტათ მას არ ვთვლი, რომ ვისიმე ვექილობა სჭირდებოდეს.

შ. გელოვანი.

---

„ერთობის" მე 101 ნომერში მოთავსებულია ვინმე ხ—ნას მიწერილი კორესპონდენცია გურიიდან, სადაც სწერია:—„გურიაში ენერგიულათ მოქმედობს რეაქციონერ პროვოკატორების [illegible]

[illegible]

ბლაძის, მათითაიშვილის, მუხაშარის მეთაურობით და სხვა".

ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. გურიის სამაზრო თავდაცვის კომიტეტს არავითარი რაზმი არა ჰყავს. კომიტეტს ჰყავდა 10 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც იქნა გაგზავნილი ბათუმის დასაცავათ და კომიტეტი აცხადებს, რომ 2 აპრილიდან, თანახმად მისი თვის დროზე საქვეყნოთ განცხადებისა, რომელიც გაკრული იყო ქალ. ოზურგეთში, მთელი მისი ფუნქციები სამშობლოს დაცვის საქმეში, გადასცა სამხედრო უწყებას.

გურიის თავდაცვის კომიტეტი.

# ანგარიში

მეოთხე რაიონის ს.-დ. მ. პ. კოლექტივის

1 იანვრიდან 18 მაისამდე 1918 წ.

შემოსავალი.

| | |
|---|---|
| დარჩა კასაში 1 იანვრისათვის | 60—40 |
| ერთდროული გადასახადი | 126—00 |
| საწევრო გადასახადი | 2172—00 |
| პროცენ. გაზ. „ერთობიდან" | 248—27 |
| შეგროვდა მუშათა კლუბის სასარ. | 176—90 |
| ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატის. | 14—00 |
| საბავშვო დილებიდან. | 94—88 |
| პროცენ. ლიტერატურიდან | 10—55 |
| ჯამი | 2903—09 |

გასავალი.

| | |
|---|---|
| გაზეთის დამტარებლებს | 497—85 |
| სტეარინის სანთელი | 15—00 |
| სეკრეტარს 1 იანვრიდან 1 მაისამდე 1918 წ. | 713—30 |
| სეკრეტარს ნოემბრის და დეკემ. ჯამ. | 100—00 |
| თფ. კომიტეტს 1 მაისამდე 1918 წ. | 970—07 |
| კანცელიარიის ხარჯები | 9—25 |
| ბეჭედი „გადახდილია" | 2—00 |
| ჯამი | 2267—47 |
| რჩება კასაში 19 მაისისთვის 1918 წ. | 635—62 |

ლიტერატურის ანგარიში 26 სექტემბრიდან 1917 წ. 18 მაისამდე 1918 წ. 26 სექტემბრისათვის იყო ლიტერატურა 127 მ. 85 კ. 18 მაისამდე 1918 წ. შეძენილია ლიტ. 220 მ. 70 კ. მეექვსე რაიონს მივეცით 51 მ. 12 კ. გავყიდეთ 203 მ. 63 კ.

19 მაის. 1918 წ. რჩება ლიტერ. 93 მ. 80 კ.

გაზ. „ერთობის" ანგარიში:

ხელის მომწ. შემოვიდა 1 იანვრიდან 18 მაისამდე 1918 წ. 1764 მ.

მივეცით „ერთობის" კონტორას 821 მ. 10 კ. მეექვსე რაიონის მდივანს 379 მ. 10 კ. გადარიცხულია კოლ. შემოსავ. 248 მ. 27 კ.

რჩება კასაში 19 მაისს 1918 წ. 315 მ. 53 კ.

რჩება 10 ხელის მომწერზე 37 მ. 50 კ.

მარკების ანგარიში:

მივიღე მარკები 1 იანვრიდან 18 მაისამდე 1918 წ. 6399 ც. გაიყიდა მარკები 5430 ცალი.

რჩება 19 მაისისათვის 1918 წ. მარკები 969 ცალი, ღირებული 387 მან. 60 კაპ.

საკამისიო ლიტერატურის ანგარიში.

მივიღეთ კან. „განათლებისაგან" 98 მან. 20 კ. გავყიდეთ 54 მ. 30 კ. დარჩა გასაყიდი 43 მ. 90 კ.

19 მაისისათვის 1918 წ. ირიცხება პარტიის წევრათ 780 წევრი.

19 მაისის. რჩება ქონება და ფული.

| | |
|---|---|
| ნაღდი ფული კასაში | 951—15 |
| ლიტერატურა | 93—80 |
| საკომისიო ლიტერატურა | 43—90 |
| მარკები | 387—60 |
| ჯამი | 1476—45 |

„ერთობის" 10 ხელის-მომწერზე რჩება 37—50

მდივანი მ. ბერეჟიანი.

# ცნობები

ჯარისკაცი ივანე (ვანიჩკა) ლუკას ძე ნოზაძე (ქუთაისის გუბ., შორაპნის მაზრა) მსახურებდა გერმანიის ფრონტზე, მოქმედ არმიაში —3-Гренадерскій Перновскій полкъ, 1 взводъ. გთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ, გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ს. მიხაილოვი, სტეფანე გიორგის-ძე ნოზაძეს.

---

მეორე წელიწადია ომში იმყოფება იურიეველი მედიკი გიორგი (გრიშა) ბაგრატის ძე მარგველაშვილი, პირველ წელიწადს იყო რიგაში ექიმათ, შემდეგ რიგის აღებისა გადმოვიდა ვალკში, ვალკის დაკავების დროს ტყვეთ იქნა წაყვანილი, ტყვეობიდან განთავისუფლებული იმყოფებოდა მოსკოვში ორი თვის წინეთ, შემდეგ არავითარი ცნობა არა გვაქვს. ვთხოვთ ამხანაგებს და ნაცნობებს თუ ვინმემ რამე იცით გვაცნობოთ გაზეთის საშვალებით.

დედა გ. მარგველაშვილისა დესპინე.

---

ქ. ოზურგეთში ციხის პირდაპირ სონია შარაშენიძის სახლში შვიდ აპრილს ოსმალების შემოსევის დროს გამოვიქეცით, დავტოვეთ ავათმყოფი დედა დაი (ნინა ლომჯარიასა შარაშენიძე) და დის შვილი: მას შემდეგ არავითარი ცნობა არა გვაქვს. მოგმართავთ ყველა გულ შემატკივართ ნაცნობთ და უცნობთ, კომიტეტებს ყოველივე ღონის ძიება იხმარონ საჩქაროთ შეგვატყობინოს რა მოუვიდათ. მისამართი: ქ. თბილისი, დუშეთის ქ. № 33 სო-[illegible]

ამ ერთი კვირის უკან მოწმობა № [illegible]073, **დავკარგე** მოცემული ნავთლუღის განმანაწილებელ პუნქტის კანცელარიისაგან. დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, ზემოხსენებულ მოწმობას ვსთვლი გაუქმებულად. გევასია მ სიკოს ასული დოლიძისა. (1—1).

---

22 მაისს ქუთაისის სადგურიდან სვირის სადგურამდე მატარებელში **დავკარგე** პარტიული ბილეთი, სამხედრო თავისუფლების მოწმობა, მოცემული თფილისის სამხედრო უფროსისაგან, ტრამვაის უფასო ბილეთი სურათით და სხვადასხვა კვიტანციები, დოკუმენტები იასე გიორგის ძის ლაპავას სახელზე. მპოვნელს უმორჩილესად ვსთხოვ ზემოხსენებული დოკუმენტები გამომიგზავნოს შემდეგი ადრესით: ქუთაისი, პუშკინის ქ., მხატვარ დავით ისაკაძეს, რაზედაც მიიღებს შესაფერ საჩუქარს. მეორე ადრესი: თფილისი, ქალაქის ტრამვაის კანტორაში. (1—1)

---

**ექიმი უკლადნიკოვი**

შინაგან და საბავშვო სნეულებიან ავათმყოფთ იღებს ყოველ დღე დილ. 10—11 საათამდე და საღ. 5—6 საათამდე. მისამართი: დიდი-მთავრის ქუჩა № 67 (კიროჩნი ქუჩ. კუთხე).

---

**ექიმი ი. გ. ქონიევი.**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3.

---

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.**

შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებითავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმზოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

**ექიმი მ. ვ. კედიაშვილი**

**შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ** ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. გაგზნის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

---

**ექიმი დ. ი. ჟორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი შისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული [illegible] და ქრონიკული [illegible]. [illegible] 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელეფონი 14—87.

---

**ექიმი ნ. ა. ფოფხაძე**

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

---

**სამკურნალო კაბინეთი**

**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—38.

---

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მას საჟი. მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 11.

---

**ექიმი ბ. დონხინი**

ყოფილი იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს **თვალის ტკივილების ავადმყოფებს** დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე **მიხეილის პრ., 76,** (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

---

**დ. საჩხერეში ექიმის თანაშემწე ვ. ზ. ლაშხი**

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშავს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

**იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. ზაზარინა-ლაშხი**

ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

---

**ექიმი ვ. ზ. ვაფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველ დღე 5—8 საათ. საათამდე. [illegible] ლის პირდაპირ რაზნიცვლის ქუჩა, № 12.

---

**ექიმი ვ. მ. მუხაძე**

იღებს სადლისტაქრია ავათმყოფთ საღამოს 5—9 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: [illegible] შოპენის ქუჩა № 57; [illegible] მოპირდაპირე, სახ. სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77

---

# დემოკრატიულ კლუბში „მუშა დუ"

**შაბათს, 25 მაისს, ახალგ. გურულების თაოსნობით, ლტოლვილ გურულთა სასარგებლოთ**

**მართავენ დიდ ლიტერატურულ და სამუსიკო**

# ს ა ღ ა მ ო ს.

1.

„ვაი უობოს" მხიარული ვოდევილი ერთ მოქმედებათ, მონაწილეობას მიიღებენ: შარაშანიძე, როსკანიშვილი და ხიმშელი.

2.

დივერტისმენტები და სცენები: გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, დ. მეჩონგური, გენო და სხვები.

3.

მახარაძე და ორმოცაძე თავის ამხანაგებით შეასრულებენ გურულ სიმღერებს, ფერხულს და ჩონგურს. რკინის-გზის დეპოს მუშათა მომღერალი გუნდი ვ. დედანაშვილის ლოტბარობით შეასრულებენ ქართლ-კახურ სიმღერებს.

4.

ცოცხალი სურათები.

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება ახალი კვალის რედაქციაში 5—7 საათამდე. რეჟისორი გ. შარაშანიძე.

გამგენი: ვ. მენაბდე, კ. გიორგაძე, ხ. ჭეიშვილი. 2—2

---

# მთავარი კანტორა

# „ბორჯომის ექსპორტი"

**უშვებს პარტიობით ბორჯომის წყალს**

# საჭიროა სანდო წარმომადგენლები

ბორჯომის წყლის პარტიობით შეძენა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ უმთავრეს კანტორის

# „ბორჯომის ექსპორტის" საშვალებით.

უმთავრეს კანტორის დროებით სადგური: თფილისი, ველიამინოვის ქ. № 3, ვ. ხ. კილაძე.

ფოსტის მისამართი: თფილისი, ფოსტის ყუთი № 37 ვ. კილაძე.

მოლაპარაკება შეიძლება დღის 10—2 საათამდე. ტელეგრამის: თფილისი, „ბორექსპორტი".

---

# ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ მას ქალაქის სხვა და სხვა რაიონში და ქალაქის გარე უბნებში (სადგურის იქითა რაიონი, ლოტკის გორა, დიდუბე და სხვ.) ესაჭიროება სადგომი ადგილ. სასწავლებლებისათვის. შენობაში უნდა თავსდებოდეს აგრეთვე სასწავლებლის გამგის ბინაც (2—3 ოთახი).

კლასების სივრცე უნდა უდრიდეს 11—12 არშ. და 7—8 არშინს. კლასების რაოდენობა 3-დან 8-დე და მეტიც, ამასთან სამასწავლებლო და საექიმო ოთახები და სხვ.

განცხადებები მიიღება ქალაქის გამგეობის სახალხო განათლების განყოფილებაში (ერევნის მოედანი). 3—1

---

# ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში

**კვირას, 26 მაისს, დილის 11 საათზე დანიშნულია**

# საზოგადო დამფუძნებელი კრება

**თფილისის ქართველ-ვაჭართა და მრეწველთა კავშირისა.**

**განსახილველი საგნებია:** 1) მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების შესახებ 2) ხარჯთ-აღრიცხვა კავშირის 1918 წლისა, 3) ამორჩევა საბჭოს წევრებისა და მათ კანდიდატებისა, 4) ამორჩევა გამგეობის წევრებისა, 5) ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრების და მათ კანდიდატებისა.

საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს კავშირის ყველა წევრებს უთუოდ დაესწრონ ამ კრებას, რადგან როგორც პოლიტიკური ისე საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა მოითხოვს ვაჭარ მრეწველთა შეკავშირებას და მათ საზოგადო სარბიელზე გამოსვლას.

4—3

საორგანიზაციო კომისია.